ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 9 ივნისი, 2021 №102 (8631) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ნარკოტიკების ინტერნეტით გაყიდვისთვის 4 პირი დააკავეს

სვანეთში მოკლული ზესტაფონელი რობიზონ თუთარაშვილი ახლობლებმა ძლივს ამოიცნეს

გვ.5

„კალაძეს ვაჟკაცობა უნდა ეყოს და უარი უთხრას „ოცნებას“ მეროობაზე“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალები საზიზღარ პოზიციაში არიან“

გვ.3

გვ.2

„ივანიშვილს წერილი კობახიძემ დააწერინა“

დავით ჭიჭინაძე: „ყველა ნაბიჯი, რომელიც ოპოზიციამ გადადგა, მათ რეპუტაციას ანგრევს. ბოიკოტით ბევრად უფრო მეტს რომ მივაღწევდით, ეს დღესაც ჩანს“

გიორგი ბარამიძე: „არასდროს მითქვამს, რომ გახარია ბიძინას პროექტია – ის პუტინის პროექტია“

„ოპოზიციამ თავისი სისუსტე აჩვენა, მაგრამ ხელისუფლების შეცვლა ოპოზიციის სიძლიერეზე არაა დამოკიდებული“

გვ.2

გვ.4

„ბიძინამ გუნდი ვერ შექმნა და ეს მისი შეცდომებია“

პეტრე მამრაძე: „გახარია მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის ინიციატორი იყო“

„გახარია და ვასაძე ივანიშვილის პროექტია“

სოსო შატბერაშვილი: „ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად გამარჯვებულია „ქართული ოცნება“

გვ.3

ISSN 1987-9385

5 ოზურგეთის ბენზინგასამართი სადგური დააყარაღეს

6 მაკრონს მოქალაქემ სილა გააწნა

5 შსს-ში მზის ენერგიის ელექტროსადგური გაიხსნა

6 სომხეთში ხმის მიცემისა და დათვლის პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდება

გიორგი ბარამიძე: „არასდროს მითქვამს, რომ გახარია ბიძინას პროექტია — ის პუტინის პროექტია“

„დიახ, ასე ვფიქრობ, რომ პარლამენტში შესვლა დაგვაზარალებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა იცვლება პოლიტიკურ რეალობაში „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში შესვლით? დაზარალდება თუ არა ამით ოპოზიცია? რის საფუძველზე ამბობს, რომ „ოცნებას“ მოუგებენ ადგილობრივ არჩევნებში და ვისი პროექტია გიორგი გახარია? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

– გუშინ თქვენი პარტიის წარმომადგენლები შევიდნენ პარლამენტში. რა იცვლება საქართველოს პარლამენტარიზმში და ქართულ პოლიტიკურ რეალობაში?

– მოგეხსენებათ, რომ საჯარო დისკუსია გვქონდა, რამდენად მიზანშეწონილი იყო პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი. მე მიმაჩნდა, რომ სჯობდა არ შევსულიყავით, მაგრამ პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შესვლასთან დაკავშირებით. როგორც ვთქვი, გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, მაგრამ ყველა გადაწყვეტილება, რაც პარტიაში მიიღება, ვიზიარებ. ცხადია, ერთიანად ვმოქმედებთ. რა თქმა უნდა, შესვლასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები. რაც შეეხება იმას, რატომ არ ვეთანხმებოდი შესვლას, ამაზე ჩემი პოზიცია ცნობილია. ახლა მიღებულია გადაწყვეტილება და წინ უნდა ვიყუროთ და ის დადებითი მხარეები გამოვიყენოთ, რაც პარლამენტში შესვლას აქვს. ეს არის საპარლამენტო ტრიბუნა და მეტი საშუალება უშუალო კონტაქტზე იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ერთ სივრცეში იყო და მოახდინო ის პოლიტიკური ზეგავლენა, რაც საჭიროა ამ ვითარებაში.

– აქციით დახვდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს მართული პროტესტი იყო თუ გულწრფელი?

– ჩემი აზრით, ყველა შეკითხვას აქვს არსებობის უფლება. მგონი მაგ კითხვებზე ჩვენი შიდაპარტიული დისკუსიის დროს გავეცით პასუხი. ამდენი ხანი იმიტომაც არ შევდიოდით, რომ გაყალბებულია ეს არჩევნები. სანამ ოპოზიცია გაიხლიჩებოდა ბოიკოტის ნაწილში, სწორედ ბოიკოტმა მოიტანა თავისი შედეგი. იძულებული გახდა რეჟიმი, რომ პოლიტიკური მძევლები გაეთავისუფლებინა და ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით ცუდი, მაგრამ მაინც რაღაცა გზა გამოჩნდა. ადგილობრივი არჩევნები, როგორც იცით, რეფერენდუმად გვესახება. „ოცნებამ“ 43%-ზე უნდა მიიღოს, რაც შესაძლებელია სწორი მოქმედებებით. სამწუხაროდ, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა.

43/57%-ზე გაუგებარია და უსამართლოა. საიდან მოიტანეს ეს ხელმომწერებმა, კაცმა არ იცის, ამაში საღი აზრი არ არის და აქვს ფორა „ოცნებას“, მაგრამ არის რაღაცა გზა. ასევე „ოცნებას“ აქვს ის ფორა, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურას აკონტროლებენ, იქნება სუსი, პოლიცია და სხვა.

– ივანიშვილს ხომ არ აწყობს ვადამდელი არჩევნები. ეს დისკურსი შემოიტანა თამარ ჩერგოლეიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ ოპოზიცია მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ დეგრადირებულია და ახლა ივანიშვილს შესაძლოა სურდეს ამ უპირატესობის გამოყენება და ხელისუფლებაში ყოფნის ვადის 4 წლით გახანგრძლივება.

– ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რაც ივანიშვილს აწყობს? რაღაცა ალოგიკურია.

– არა. მის ინტერესებშიც ხომ არ შედის ვადამდელი არჩევნები?

– ასეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილს ხომ არ აწყობს, დათმოს ხელისუფლება?!

– მე, პირიქით, ვადის გახანგრძლივებაზე გეკითხებით.

– როგორ, ახლა თუ წააგო რეფერენდუმი, ამ ფონზე ვადამდელის არჩევნები როგორ უნდა აწყობდეს?! ივანიშვილმა წააგო 2020-ის არჩევნები. უბრალოდ იმის გამო, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები არ იყვნენ საკმარისი რაოდენობით, ეს გახდა საფუძველი. ქართულმა არასამთავრობოებმა და პარტიებმა კი ყველანაირი საბუთი დადეს, მაგრამ დასავლეთისთვის ეს საკმარისი არ იყო. მათ ასეთი ტერმინიც კი იხმარეს, რომ ლეგიტიმაციის ზღვარზე იყოო. შემდეგ არჩევნებს კიდევ უფრო მეტი უპირატესობით მოვუგებთ ოპოზიცია.

„ოპოზიციამ თავისი სისუსტე აჩვენა, მაგრამ ხელისუფლების შეცვლა ოპოზიციის სიძლიერეზე არაა დამოკიდებული“

– რა გაძლევთ მაგის თქმის საფუძველს?

– ის, რომ ერთხელ უკვე წააგო და მეორე ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება.

– თუმცა ოპოზიციის მიმართ ნდობაც უფრო დაიკარგა ბოლო თვენახევრის განმავლობაში.

– ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებით და ამ საზომით იზომება არჩევნების შედეგები. ოპოზიცია ერთგვაროვანი ძალა არ არის. ამომრჩეველი თუ უკმაყოფილოა ხელისუფლებით, ის მაინც იპოვის მისთვის მისაღებ ოპოზიციურ ძალას. ხელისუფლება იმით კი არ იცვლება, არის თუ არა ოპოზიცია ძლიერი და კარგ ფორმაში მყოფი, არამედ რამდენად არის ხელისუფლებაში და კარგ ფორმაში. როგორც წესი, ეს განსაზღვრავს ხელისუფლების მოგება-წაგების თემას. ოპოზიციამ თავისი სისუსტე აჩვენა, მაგრამ იმდენად მძიმეა მდგომარეობა ქვეყანაში, რომ ხალხმა უარი უთხრა ივანიშვილს 2020-ის არჩევნებზე და ეს ფორმალურ შედეგებშიც დაფიქსირდა გაყალბებების მიუხედავად. ივანიშვილის ცესკოსა და სასამართლოებს მაინც მოუხდათ აღიარება, რომ ხალხის უმრავლესობა „ოცნების“ უმცირესობაში ყოფნას ემხრობა. პროპორციულ არჩევნებში 52% აიღო ოპოზიციამ და ამას ვერავინ ვერ გაექცევა. ივანიშვილმა ამის იგნორირება მოახდინა და ხელისუფლება უზურპირებული აქვს.

ხალხმა დაინახა რა გააკეთა პანდემიის დროს ამ კორუმპირებულმა ბანდამ და რამდენი ადამიანის სიცოცხლეა მათ კისერზე.

– თუმცა, როგორც „ოცნება“ გვიმტკიცებს, ვინც მართავდა პანდემიას, ის თქვენთან ყოფილა „გარიგებული“ თუ „შეთქმულებაში შემოსული“.

– მაგ დონეზე რომ არის ხელისუფლება, ესეც ხომ ბევრი რამის მაჩვენებელია?! იმდენად უტიფარი, უნამუსო და მატყუარა ადამიანები არიან, რომ ამათ ხელისუფლებაში გაჩერება ადამიანებს სიცოცხლის ფასად უჯდება და ხალხის უდიდესი ნაწილის სოციალური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებით. კი, ვიღაცები არიან „ოცნების“ მმართველობით კმაყოფილები – ისინი, ვინც ფულს აკეთებენ, ხელისუფლებასთან ახლოს ვინც არიან, სამსახურში არც კი დადიან, ისე იღებენ ხელფასს და ასევე, კრიმინალური სამყარო. ადამიანები, რომლებმაც ცხოვრება მოიწყვეს, მაგრამ ასეთი უმცირესობაა. უკმაყოფილო მოქალაქეთა რაოდენობა კი უფრო და უფრო იზრდება და ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ივანიშვილი წააგებს.

– ოპოზიცია ერთიანი იყავით და ბოლოს დაირღვა ერთობა. ეს არ აბნევს ამომრჩეველს? თქვენ პარტიაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა და ბევრი ადამიანი უკმაყოფილო დარჩა პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებით. არ ფიქრობთ, რომ ენმ-ს ეს დააზარალებს ამომრჩეველის მხრივ?

– კი. ასე ვფიქრობ და საჯაროდ გვაქვს ნათქვამი, რომ ამდენი ხანი ვამბობდით, რომ არალეგიტიმური პარლამენტია და თუ პარტია შევა, ეს გამოიწვევს პრობლემებსო. მით უმეტეს, თუ გადაწყვეტილება მიიღო პარტიამ არა ელექტრონული წესით და მხარდამჭერების მაქსიმალური ჩართულობით, არამედ პოლიტსაბჭოს მიერო. კი, ეს ითქვა ამის თაობაზე, მაგრამ ვიმეორებ, გადაწყვეტილება მიღებულია და უკან ყურება აღარ ღირს.

– რა გამოჩნდა, თქვენი აზრით, გახარია რეალური ოპოზიციაა? და აქვე განზოგადებულად რომ გკითხოთ, ოპოზიცია საუბრობთ, რომ ის ბიძინას პროექტია, მაგრამ ამავე დროს ამბობთ ხოლმე, რომ „ოცნებას“ წაართმევს ხმებს. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ გაწყობთ, თუ დაგეხმარებათ ვადამდელის მიღწევაში?

– ჯერ ერთი, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ არის სწორი. ოპოზიციაში სხვადასხვა აზრია. რაც შეეხება გახარიას, მე არასდროს არ მითქვამს, რომ ის ივანიშვილის პროექტია. მე მიმაჩნია, რომ როგორც ივანიშვილი, ისე გახარია და კიდევ ცალკე სხვა ძალები, რომლებიც საქართველოში პოლიტიკურ და არა მარტო პოლიტიკურ ველზე საქმიანობენ, რუსეთის პროექტია, პუტინისა და კრემლის პროექტი. ეს არის კრემლის ერთ-ერთი სათადარიგო ვარიანტი, რადგანაც მან უკვე დაინახა 2020-ში, რომ მათი ერთ-ერთი პროექტი დამარცხდა და ამიტომ სათადარიგო ვარიანტის ამუშავებაზე ფიქრობენ. ასეთი ჰყავთ სხვებიც როგორც პოლიტიკურ, ასევე არაპოლიტიკურ სპექტრშიც. ის არის კრემლის ცალკე პროექტი.

– აქედან გამომდინარე, მასთან რაიმე ტიპის თემატურ თანამშრომლობას გამორიცხავთ?

– დიახ, გამოვრიცხავ.

„ივანიშვილს წერილი კობახიძემ დაუწერინა“

დავით ჭიჭინაძე: „ყველა ნაბიჯი, რომელიც ოპოზიციამ გადადგა, მათ რეპუტაციას ანგრევს. ბოიკოტით ბევრად უფრო მეტს რომ მივაღწევდით, ეს დღესაც ჩანს“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილის წერილს, რომ გახარია არ არის მისი პროექტი, თქვენ რითი ხსნით?

– ბიძინა ივანიშვილი როდის ამბობს სიმართლეს, ძალიან რთული გამოსაცნობია. კობახიძის რიტორიკას თუ გავიხსენებთ, უნისონში არიან. თუ, გახარია არ არის ივანიშვილის პროექტი და მათ შორის დაპირისპირებაა, მაშინ გამოვიდნენ და სიმართლე ილაპარაკონ. ორივეს აქვს სალაპარაკო. ისე, ამ შემთხვევაში, ხელიხელ გადახვეულებს შეუძლიათ საბრალდებო სკამზე წავიდნენ, რადგან გახარია ივანიშვილის ყველა დავალების შემსრულებელი იყო. დღეს რომ კორუფციასა და ნეპოტიზმზე გვეუბნება, პრაქტიკულად ივანიშვილის გარემოცვაზე ამბობს. როგორ შეიძლება ჩხარტიშვილი, მამაცაშვილი და ფარცხალაძე ფულს აკეთებდნენ ამ ქვეყანაში და ეს ივანიშვილმა არ იცოდეს.

– როგორ ფიქრობთ, რატომ დუმს გახარია?

– აუხსნელია. თუ მართლაც არ არის ივანიშვილის პროექტი, გამოვიდეს და ილაპარაკოს ის, რაც არის სათქმელი. რატომ არ საუბრობს იმ კორუფციულ სქემაზე, რომელიც იყო. თუ მაშინ გუნდის წევრი იყო, დღეს ხომ არ არის?! ხომ წამოვიდა. გვითხრას, რითი დასრულდა გამოძიება. პირადად მე მითხრა პარლამენტში, რომ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი ეს საქმე.

– კობახიძემ გაიმყარა პოზიციები? გამორიცხავთ, რომ სწორედ კობახიძის დაჟინებული თხოვნით იყო ივანიშვილის წერილი განპირობებული?

– არა, სრულიადაც არ გამოვრიცხავ. ტექსტი აბსოლუტურად კობახიძის სტილში იყო. ალბათ დაურეკა და უთხრა – გვიშველე, ვიღუპებით! ჩვენი ამომრჩეველი მიჰყავსო. რომ დავაკვირდეთ, გახარიას ისეთი განცხადება არ გაუკეთებია, რომ ბიძინა ივანიშვილი გაემწარებინა და, როგორც გვეუბნება, პოლიტიკიდან წასულ კაცს პასუხი გაეცა.

პრაქტიკულად ივანიშვილს ეს ყველაფერი ნაკლებად აწუხებდა. განცხადების სტილსაც თუ გადავხედავთ, თითქოს სხვების მიერ მოტანილ ამბებზეა.

– თუმცა, მოღალატე უწოდა.

– კობახიძეს ხათრი არ გაუტეხა.

– საუბარი იყო, თითქოს ივანიშვილი კობახიძისგან, მისი გუნდისგან ხელს დაიბანდა. ჩამოიშორებდა. გამოდის, მთლად ასე არ არის.

– კალაძეც კი გააქტიურდა. ხომ ხედავთ, როგორ გვაბარებს ანგარიშებს. ეშინიათ.

– რისი?

– არჩევნების წაგების. 43%-ის ეშინიათ. ხედავენ, რომ ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა. ხალხი სერიოზულ გაჭირვებაშია. იმდენად დიდია სიდუხჭირე, ეკონომიკა იმდენად დაბლა მიდის, რომ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. ამას კარგად ხვდებიან. რესურსი, რომელიც არსებობს, ოქტომბრისთვის პრაქტიკულად ამოწურული იქნება.

ნიკა მელიას ციხეში გამოკეტვითა და ოპოზიციის განადგურებით ფიქრობდნენ ფონს გასვლას და არა ქვეყნის აშენებით, მაგრამ მიხვდნენ, რომ ასე ვერაფერს გახდებიან. შიდა კვლევებით ნახეს, რომ 43%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი აღარ აქვთ და ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე იგრძნეს. ალბათ ეს არის მათი შეშფოთების რეალური მიზეზი.

– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, მიუხედავად ივანიშვილის ამ განცხადებისა, ალბათ ყველაზე რეალური გახარიასა და „ქართული ოცნების“ კოალიცია იქნება. ასე არ ფიქრობთ?

– ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნა, იქ, „ქართული ოცნების“ ადგილი აღარ იქნება. ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, ისინი „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებენ. ბიძინა ივანიშვილის რესურსი ორ პარტიას ნამდვილად აღარ ეყოფა. ივანიშვილის რესურსი გახარიასა და კობახიძის პარტიას ერთად ეყოს, ასეთი რამე არ გამოვა. თუ უნდობლობა იქნება ხალხში, უნდობლობა იქნება ორივე მიმართულებით და ივანიშვილი მიხვდება, რომ მისი დრო ამოიწურა. საკმაოდ სერიოზული პროცესები მოჰყვება ამ ყველაფერს. დარწმუნებული ვარ, იმ კომბინაციების გათამაშება და, საერთოდ ის, რაც მათ უნდათ, ქართველ ხალხს არ უნდა. დღეს ხალხს ერთადერთი რამ – ცვლილებები უნდა. ამ პირობებში ცხოვრება წარმოუდგენელია. ხალხს ეს მობეზრდა. როგორი ფორმატი იქნება, როგორი კონფიგურაცია, ამას მომავალი გვაჩვენებს. ერთპარტიული მმართველობა და ერთი კაცის მმართველობა რომ უნდა დასრულდეს, ეს თვითონაც თქვა და ამაში ვეთანხმები კიდეც. მესიანიზმი და კულტები დავამარცხეთო. სწორია, მინისტები და ბიძინისტები აღარ უნდა იყვნენ.

– ამ ფონზე ოპოზიცია შეძლებს ადგილის პოვნას?

– სიმართლე გითხრათ, ოპოზიცია ხარაკირით არის დაკავებული. განსაკუთრებით შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმომწერები. ყველა ნაბიჯი, რომელიც ოპოზიციამ გადადგა, მათ რეპუტაციას ანგრევს. ბოიკოტით ბევრად უფრო მეტს რომ მივაღწევდით, ეს დღესაც ჩანს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძეს ვაჟკაცობა უნდა ეყოს და უარი უთხრას „ოცნებას“ მერობაზე“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალები საზიზღარ პოზიციაში არიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, დღეს ყოფილ პრემიერ, გიორგი გახარიას წინააღმდეგ ორკესტრირებული შეტევა მიმდინარეობს როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიცია გახარიას ბიძინას პროექტად მიიჩნევს, ხოლო ბიძინა და მისი გუნდი სააკაშვილთან ალიანსში ადანაშაულებს. რა ხდება? რას ფიქრობთ ამ ბრალდებებსა და ივანიშვილის პოზიციაზე, რომელიც ღია წერილით გამოხატა?

– არაფერია გასაკვირი იმ თვალსაზრისით, რომ ორივე მხრიდან დარტყმა იქნებოდა. გასაგებია, რომ ახალი მოთამაშე შემოვიდა, რომელსაც აქვს შესაძლებლობებიც, სავარაუდოდ, რესურსებიც საკმაოდ მაღალი და აქედან გამომდინარე, ორივე მხრიდან დარტყმას რომ მიიღებდა, ეს ადვილი გამოსაცნობი იყო. მეორე ამბავია, რომ თვითონ რა პოზიცია უჭირავს გახარიას, ეს ვერ გავიგეთ. უცნაურად მშვიდობის მტრედის როლს თამაშობს.

– ისევ არ დაარტყა ივანიშვილს. ვერთიანდებით საქართველოსთვისო.

– ვისთან ერთიანდება, გაუგებარია, იმიტომ, რომ ოპოზიციაში ჯერჯერობით არავინ მეგულება, რომელიც მასთან ითანამშრომლებს ამ ეტაპზე.

– ეს კარგია თუ ცუდია, როცა ის არც პოზიციას მოსწონს და არც ოპოზიციას?

– ცუდია, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია.

– რატომ?

– ნებისმიერ შემთხვევაში, ამომრჩეველში ყოველთვის გადანაწილებულია ინტერესებიც და სიმპათიებიც. მას ამოირჩევს ისეთი ამომრჩეველი, რომელიც ყველას წინააღმდეგია. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთი ამომრჩეველიც საკმაოდ ბევრია, ვისაც არც ივანიშვილი უნდა და არც ნაციონალები. ეს შუაშისტებიც ნელ-ნელა გადანაწილდა, ზოგს ლელო მოსწონს, ზოგს – ვაშაძე. აი ამ შუა ნაწილში მოუწევს „თევზაობა“. ის ფაქტი, რომ გახარია ამ ეტაპზე არანაირ პრეტენზიას არ აცხადებს ხელისუფლების ხელში აღებაზე, ეს გასაგებიც არის, ადგილობრივ არჩევნებზე არც არაფერი სერიოზული არ იქნება.

– სერიოზული ბრალდებები წამოვიდა მის წინააღმდეგ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებენ ბრალს.

– არ ვიცი, რა ვთქვა, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა ის რიტორიკა, რომელიც ბიძინა ივანიშვილისგან წამოვიდა, საერთოდ, წერილის შინაარსიც უცნაურია და მიზეზიც გაუგებარი.

– სულ ამბობდნენ ბიძინა წავიდაო. წავიდა თუ პირიქით, მოვლენების ეპიცენტრშია?

– რა გითხრათ, აბა? გუშინ ერთ-ერთი ექსპერტისგან ისიც კი მოვისმინე, რომ ბიძინა აიძულა მისმა გარემოცვამ, რომ ეს წერილი დაეწერაო. ახლა თქვენ ბიძინა ივანიშვილი ის კაცი გგონიათ, რომ ვინმემ რამე აიძულოს?! ასეთი რამ უბრალოდ ჩემთვის დაუჯერებელია. რამდენიმე ვარიანტია ამ ყველაფერში: ერთი, რომ ბიძინა ივანიშვილის პროექტია გახარია და ის რაღაცნაირად მხარს უჭერს მას...

– გაწყვეტინებთ, გაჩნდა ასეთი მოსაზრებაც, რომ ივანიშვილმა მიზანმიმართულად დაარტყა გახარიას, რადგან ეს ეჭვი გააქარწყლოს და ზოგადად დაჩაგრულის მიმართ მხარდაჭერაც მეტია.

– აბსოლუტურად გეთანხმებით. არის ასეთი ეჭვი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, პირადად მე დიდად არ მჯერა, რომ გახარია ბიძინას პროექტია. ბიძინას მომხრეებში თუ არ არის მკვეთრი მინიშნება, რომ ეს ჩვენიანია, ისინი არ მიიღებენ თავისიანად და ხმას არ მისცემენ. ეს გამორიცხული ამბავია.

– თუმცა არსებობს მაინც სერიოზული ეჭვები. თუნდაც ივანიშვილის ისეთი აქტიური მხარდამჭერები გადავიდნენ გახარიას ბანაკში, რომ სიცოცხლის ბოლომდე მის ერთგულებად რომ დებდნენ თავს. ეს არ აჩენს კითხვებს? თანაც ისეთი ხალხია, ნაციონალებთან რომ არასდროს ითანამშრომლებენ.

– სოფო ხორგუანი გადასულა გახარიასთან. ვკითხე კიდეც ორი დღის წინ, შენ ყოველთვის ბიძინისტი იყავი და რა მოხდა-მეთქი. სოფო ნაციონალებთან გამორიცხულია, გეთანხმებით. აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს 2024-ისთვის გამზადებული, ივანიშვილის სათადარიგო ვარიანტია. სჭირდება ნაციონალების საპირწონედ. შეიძლება ამიტომაც მიდის დაბრალება, ნაციონალების მომხრე და ასე შემდეგ. არიან ადამიანები, რომლებიც მისაღებია როგორც ჩრდილოეთისთვის, ისე დასავლეთისთვის. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ის იყოს კომპრომისული ფიგურა 2024 წლისთვის.

– რუსულ-ამერიკული პროექტი?

– უფრო რუსული, თუმცა ამერიკელებიც მიიღებენ. და არის მესამე ვარიანტიც, რატომ გამოვრიცხავთ, რომ ამ ადამიანს მართლა მობეზრდა ასეთი ყოფა, ადგა და წამოვიდა. დატესტა, ნახა, რომ ყავს მხარდამჭერებიც და შეუძლია ხმების აღებაც. აქ არის კიდევ ერთი მომენტი, რამდენადაც მოარული ხმები დადის და საკმაოდ წონიანი მოარული ხმები, გახარიას ყავს მხარდამჭერები პარლამენტში, რომელთა გადმოყვანით საკუთარ მხარეს, მას შეუძლია „ოცნების“ უმრავლესობა დაშალოს. ეს კი იწვევს ვადამდელ არჩევნებს, მაგრამ არ აკეთებს ამას.

– შეუძლია ამით ივაჭროს ივანიშვილთან?

– შეუძლია ივაჭროს, ან სულაც არ აწყობს მას ვადამდელი არჩევნები. შესაძლოა სწორედ ამიტომაც უტევენ ახლა გახარიას, რომ არ დაგვიშალო უმრავლესობა, თორემ გარბენინებთ პროკურატურაშიო.

– აქვთ კომპრომატები გახარიაზე?

– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ამდენი ხნის განმავლობაში ის იყო მინისტრიც, იყო პრემიერ-მინისტრიც, რაღაცა გადაცდომები აუცილებლად ექნება.

– გახარიას არ ეცოდინებოდა, რომ მის წინააღმდეგ კომპრომატებს აიფრიალებდნენ, მაშინ რატომ წავიდა ამაზე?

– შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ღვთის მადლით, მშვიდობით და მსხვერპლის გარეშე დამთავრდა მელიას დაკავება, მაგრამ ვაი და მსხვერპლი ყოფილიყო?! რაც სრულიად არ იყო გამორიცხული. მან არ აიღო თავის თავზე და სწორიც გააკეთა, ჩემი აზრით. გახარიას ადგილზე, მეც ბოლომდე ვიბრძოლებდი იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაწელილიყო მელიას აყვანის ოპერაცია, ხალხი გადაღლილიყო და მინიმალური რაოდენობის ხალხი დარჩენილიყო ოფისში. ან რა აუცილებელი იყო მისი ოფისში აყვანა? ამან ნაციონალებისდროინდელი აყვანები გამახსენა, კამერების წინ რომ აყავდათ ხმაურით. გახარია სწორად მოიქცა. არ აიღო თავის თავზე ეს ამბავი.

– ბატონო მამუკა, „ქართული ოცნების“ ლიდერებიდან ერთადერთი იყო კახა კალაძე, რომელსაც გახარია არ გაუკრიტიკებია და მისთვის ტალახი არ უსვრია. გუშინ მანაც დაარღვია დუმილი. მართალია, მოზომილი, მაგრამ კრიტიკა უკვე მისგანაც მოვისმინეთ. რა მოხდა?

– ბიძინა აიძულეს წერილის დაწერაო, ამას, რა თქმა უნდა, კატეგორიულად არ ვიღებ, მაგრამ კალაძეს რომ აიძულეს ამის თქმა, ამას მივიღებ. დღეს კალაძეს არა აქვს ის მდგომარეობა პარტიაში, რომ ვერ აიძულონ. კალაძე რომ ორჭოფულ მდგომარეობაშია, ამას რათ უნდა ლაპარაკი. მას უნდა თამაშიდან სუფთად გასვლა და არ უშვებენ. ვერ გავა ასე მარტივად. ვაჟკაცობა უნდა ეყოს კალაძეს, რომ უარი უთხრას „ოცნებას“ მერობაზე. მას 100%-იანი ექნება გადაცდომები. იმიტომ, რომ ქალაქი ისეთი სტრუქტურაა, სხვანაირად შეუძლებელია. ამიტომ ყურს აუწევენ ყოველთვის. ამიტომ სუფთად გამოსვლა, ჟარგონზე რომ ვთქვათ, არ მოსულა. გახარიაზე უარეს დღეში ჩააგდებენ.

– კალაძეზე მეტი კომპრომატები ექნებათ?

– უიმე, დედა! ნუ იტყვით! არ ვისურვებდი კალაძის მდგომარეობაში ყოფნას.

– დიდი ორომტრიალია. რა მოლოდინი გაქვთ?

– სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ იკადრა, ერთმანეთს ბულინგის ენით და ლანძღვა-გინებით დაუწყო ლაპარაკი და მერე ნელ-ნელა ყველა შელაგდა პარლამენტში, ამის შემდეგ, მათგან არანაირი მოლოდინი არ მაქვს. იმდენი ვერ უნდა გაეთვალა ნაცმოძრაობას, რომ მასაც მოუწევდა ამ მდგომარეობაში ყოფნა?! უბრალოდ, კომენტარის გაკეთებაც კი აღარ მინდა ამ ყველაფერზე. სულ იმას გავიძახოდი, რომ უნდა შევიდნენ, უნდა შევიდნენ. მართლა ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს პოლიტიკოსი, იმას რომ ვერ ხვდებოდეს, რომ ამ პირობებში სრული ბოიკოტი გამორიცხული იქნებოდა. ვიღაცა აუცილებლად გატყდებოდა.

– შევიდნენ წაგებული პოზიციით?

– საზიზღარ პოზიციაში არიან, საზიზღარი. თავშერცხვენილები, ერთმანეთს რომ თვალებში ვერ შეხედავენ. ასეთ პირობებში, ოპოზიციაში ერთიანობის შენარჩუნება არის კატეგორიულად გამორიცხული. სრულიად გამორიცხული. უბრალოდ, ნდობის მომენტი იქნება ნული! ეს კი იმას ნიშნავს, რომ არაჩვეულებრივად კარგ მდგომარეობაშია ხელისუფლება. 43%-საც აიღებენ და მეტსაც. აგერ ვნახავთ თუ არა. ერთადერთი იმის იმედი მქონდა, რომ გახარია შეაჯანჯღარებდა სიტუაციას და ცვლილებებს შემოიტანდა, მაგრამ მანაც ისეთი უკბილო განცხადებები გააკეთა, რომ რა გითხრათ. მოაწყო პრესკონფერენცია და დაჯდა იქ პრემიერ-მინისტრივით და უთამადა ჟურნალისტებს. აი აქ მივხვდი, რომ ჯერ კიდევ ვერ არის გამოსული პრემიერობის როლიდან.

„გახარია და ვასაძე ივანიშვილის პროექტია“

სოსო შატბერაშვილი: „ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად გამარჯვებულია „ქართული ოცნება“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პოლიტიკაში ცვლილებები და რყევები დაწყებულია. რა პროცესები მიმდინარეობს? ვინ დასუსტდა და გაძლიერდა მომხდარი მოვლენებით? რა როლს ასრულებს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში? რატომ არის „ქართული ოცნება“ პროდასავლური? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– პოლიტიკაში ბოლო დროს ბევრი რამ მოხდა. თქვენი აზრით, ვინ გაძლიერდა და ვინ დასუსტდა პოლიტიკურ სპექტრში უკანასკნელ ხანს?

– ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად გაძლიერებული და გამარჯვებულია „ქართული ოცნება“. ოპოზიციური ერთობა, რომელსაც ბევრი ადამიანი „ფანჩატურის ოპოზიციას“ ვუწოდებთ, გაფარჩაკებულია. აქამდე ეს ოპოზიცია მიიყვანა დაპირებების შეუსრულებლობამ, მერყეობამ, უპრინციპობამ. ამ ოპოზიციონერებმა თავიანთი ნალაპარაკევიდან და მუქარებიდან არაფერი არ შეასრულეს. მათ ვერც უახლოეს დროში ვადამდელ არჩევნებს მიაღწიეს. იმუქრებოდნენ, რომ ამ პარლამენტში არ შევიდოდნენ. აგერ, ვხედავთ, რომ შევიდნენ. ეს გაერთიანებული ოპოზიცია სრულად დაიშალა. პარტიებიც კი გაიყვნენ. მაგალითად, „გირჩი“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო“ და სხვა.

– ელენე ხოშტარია, ასევე თქვენი ყოფილი თანაგუნდელი შალვა ნათელაშვილი არ შესულან პარლამენტში.

– ელენე ხოშტარიაზე ვერაფერს გეტყვით. შალვა ნათელაშვილი კი, რომც სდომებოდა, ვერ შევიდოდა. მოგეხსენებათ, მას მაშინვე დაუკმაყოფილეს სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნა. სხვებმაც მოითხოვეს იგივე, მაგრამ სხვებს ეს განაცხადი არ დაუკმაყოფილეს.

– „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებსაც მოუხსნეს უფლებამოსილება.

– პარტიის ლიდერებს მოუხსნეს, თორემ სხვებს – ფრიდონ ინჯიას და კიდევ რამდენიმე კაცს უფლებამოსილება დაუმტკიცეს. დღეს ისინი სხვა სახელით საქმიანობენ. შალვა ნათელაშვილს, როგორც გითხარით, პარლამენტმა მანდატი შეუწყვიტა. ეს ასე რომც არ მომხდარიყო, შალვა ნათელაშვილი პარლამენტში არ შევიდოდა. იმიტომ არა, რომ ასეთი დაპირება გასცა.

– აბა, რატომ?

– იმიტომ, რომ თითქმის არასდროს გამოუყენებია მანდატი იქ მუშაობისათვის. 1998, 2002, 2005 წლებში მოხვდა თბილისის საკრებულოში, 2008 წელს – პარლამენტში. ამ წლებში არც ერთხელ არ უმუშავია არც ქალაქის და არც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში. მას ურჩევნია, იჯდეს თავის საკუთარ სახლში და იქიდან აკეთოს განცხადებები, ასევე – ფული.

– სახლში თუ პარტიის ოფისში, რომელსაც ბევრი ფანჩატურს ეძახის?

– პარტიის ოფისი ჰქვია, თორემ, სინამდვილეში, ნათელაშვილის პირადი საკუთრებაა. პარტიის წევრებს ატყუებდა, რომ ოფისი პარტიის ბალანსზე ირიცხებოდა, რეალურად კი, საკუთარ სახელზე ჰქონია გაფორმებული. ეს ამბავი 1998 წელს გასკდა, როცა მოხდა განხეთქილება, ერთი ჯგუფი პარტიიდან წავიდა და მოითხოვა წილი პარტიის ქონებიდან. აღმოჩნდა, რომ ოფისი შალვა ნათელაშვილის პირადი საკუთრებაა.

– ბიძინა ივანიშვილის გახმაურებული წერილი რას ცვლის პოლიტიკურ სპექტრში?

– იცით, მე ამ წერილისა არ მჯერა. უფრო სწორად, ვერავინ გადამარწმუნებს, რომ გახარია არ არის ივანიშვილის პროექტი.

– ეს ჩვენთან ინტერვიუში მაშინ თქვით, როცა ამაზე სხვები არ ლაპარაკობდნენ.

– თუ გახსოვთ, მოვიყვანე ბიძინა ივანიშვილის ფრაზა. პოლიტიკიდან წასვლის წინ ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წელს მოვა ჯანსაღი ძალა, რომელიც ჩაანაცვლებს „ქართულ ოცნებას“. დღესაც ვფიქრობ, რომ ასეთ ძალად მოიაზრება გახარია. პოლიტიკაში შემოდის ასევე ლევან ვასაძე. მგონია, რომ ვასაძეც და გახარიაც არიან ივანიშვილის პროექტები. ისინი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით მოდიან პოლიტიკაში. წერილში ბიძინა ივანიშვილი გახარიასთან კავშირს უარყოფს. აბა, ხომ არ დაადასტურებს! ალბათ, აქვს გათვლა, რომ ამ ორი ძალის შემოყვანის შედეგად

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ШЕВИДЕН

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ბიძინამ გუნდი ვერ შექმნა და ეს მისი შეცდომებია“

პეტრე მამრაძე: „გახარია მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის ინიციატორი იყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.



– პატონო პეტრე, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომ გახარია მისი პროექტი არ არის?

– დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი სიმართლეს ამბობს. დარწმუნებული ვარ, გახარია ნამდვილად არ არის არც ივანიშვილისა და არც „ოცნების“ ლიდერების პროექტი.

– თქვენ რა გარწმუნებთ ამაში, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის განცხადება თუ თქვენი დაკვირვებით და ანალიზით მიხვედით ამ დასკვნამდე?

– ორივე. როცა ივანიშვილი მოდიოდა ხელისუფლებაში, ვიცოდი, რომ ის არასოდეს არ იკადრებდა და თავის თავს არ აკადრებს იმიტაციური, მართვადი, სისტემური და მორჩილი ოპოზიციის შეცვლას, რასაც რეგულარულად სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებდა. მეორე – იმისათვის, რომ გყავდეს სისტემური, იმიტაციური, მართული ოპოზიცია, აუცილებელია ქვეყანაში ნამდვილი პოლიციური რეჟიმი იყოს.

როდესაც მერაბიშვილი და ადეიშვილი ხელმძღვანელობდნენ ყველა ძალოვან სტრუქტურას, უშიშროებას, პოლიციას, სასამართლოს, პროკურატურას, პენიტენციურ სისტემას, ეს ყველაფერი ერთ მუშტად შეკრული და სააკაშვილის ავტორიტარული, პოლიციური რეჟიმის ინსტრუმენტად იყო ქცეული. დააკვირდით, სასამართლო, საერთოდ, დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ – არა.

როცა ასეთი ინსტრუმენტი გაქვს ხელში, როცა შეგიძლია ნებისმიერ ადამიანს ჩაუდო იარაღი, ნარკოტიკი, სხვადასხვა რაღაცები გაუკეთო, შესაბამისად, სრული დისკრედიტაცია მოახდინო და ციხეში ჩასმაც კი არ გჭირდება, ეს უკვე საკმარისია, რომ თუ მოინდომებ, მორჩილი ოპოზიცია გყავდეს. მორჩილ ოპოზიციაზე ბევრი ვიცი. ზოგადად გეტყვით, რომ 8 წელია, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია, ყველაფერი ცხადყოფდა, რომ „ოცნებას“ სისტემური, მორჩილი ოპოზიცია არ ჰყავს. ბიძინას განცხადებაც დასტურია ჩემთვის. ის ტყუილს არ კადრულობს.

– ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, წლების მანძილზე ქართულ პოლიტიკაში უამრავი პოლიტიკური გადაცდომის მომსწრე გავხდით. მეგონა, ამ თვალსაზრისით აღარაფერი და ვეღარავინ გამაკვირვებდაო. თქვენ ხშირად აკრიტიკებდით „ოცნებას“, მათ შეცდომებს იდიოტობებს უწოდებდით. საინტერესოა, უამრავ პოლიტიკურ გადაცდომაში თუ გულისხმობს იმ „იდიოტობებსაც“, რომელზეც თქვენ საუბრობდით?

– ბიძინა ივანიშვილი გულისხმობდა ყველაფერს, მოყოლებული 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ბიძინა ჯერ კიდევ მაშინ ჩამოდიოდა საქართველოში, დიდ ქველმოქმედებას მაშინაც ეწეოდა. თუმცა, შევარდნაძეს მოსთხოვა, ქველმოქმედებასთან დაკავშირებით მისი სახელი და გვარი არ გაჟღერებულიყო. მაშინაც აკვირდებოდა, რაც ხდებოდა და შემდეგ, სააკაშვილის პერიოდშიც. სააკაშვილს ბიძინა რეფორმების გატარებაში აქტიურად ეხმარებოდა. ბევრმა დღემდე ვერ შეიგნო, რომ სახელმწიფო სისტემის რეფორმა, მათ შორის, საბაჟოს, საგადასახადო სამსახურის, მთელი პოლიციის შექმნა, პატრულის სამსახურის ჩათვლით, სასამართლოს რეფორმა, შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ იმ გაღლეტილი ბიუჯეტის ფონზე, ივანიშვილი უზარმაზარ თანხებს აძლევდა სააკაშვილის ხელისუფლებას და ცდილობდა გაეკონტროლებინა, თანხა მიზნობრივად დახარჯულიყო.

2004 წლის დასაწყისიდან 1000 დოლარის ეკვივალენტი ყველამ რომ მივიღეთ (ეს იყო უზარმაზარი ფული მაშინდელი კურსით) ივანიშვილის ფულიდან იყო. ივანიშვილი ყველაფერს ძალიან ახლოდან აკვირდებოდა. „ოცნების“ 8-წლიანი მმართველობის პერიოდშიც აქტიურად აკვირდებოდა. როცა მიაჩნდა, რომ სხვა გზა არ იყო, მხოლოდ მაშინ ერეოდა.

ადამიანებს არ ესმით, რა არის სახელმწიფო მართვა და აბრალებენ, ივანიშვილი მართავდა და მართავსო. წერტილოვანი და ეპიზოდური ჩარევა სულ სხვაა. თუმცა, ხედავდა და აღიარა, რომ მარგველაშვილი, სანამ აირჩევდნენ, ასეთი იყოო (ხელისგული აჩვენა) და რომ ავირჩიეთ, 2 თვის შემდეგ ისეთი გახდაო (და ხელი ამოატრიალა). მარგველაშვილი პრეზიდენტად ბიძინამ გაიყვანა და შეიცვალა. კვირიკაშვილზე ამბობდა, გენიოსიაო, მაგრამ შემდეგ იცით, როგორ დასრულდა კვირიკაშვილის გენიოსობა.

ივანიშვილი მაშინ ამბობდა ღარიბაშვილზე: ისე ეფექტურად მუშაობს, ახალგაზრდობაში მე ისე არ მიმუშავიაო. მერე მოუწია თამაზაშვილების, ჯანყარაშვილებისა და მთელი კლანის გაშვება. საბოლოოდ, ღარიბაშვილსაც მოსთხოვა წასვლა. ანუ გადაცდომების მეტი რა დაუნახავს. როცა ამას დაინახავდა, ჩაღუნავდა თავს, იჯდა და დუმდა.

– ბიძინა ივანიშვილი?

– დიახ. ამას მიყვება ის, ვინც ესწრებოდა. ხელებში თავი ჩარგო და ისე იჯდა, ხედავდა, რომ გარშემო იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფო ინტერესები ისე არ აინტერესებდა, როგორც მე და თქვენ შარშანდელი თოვლის ბედი.

– ანუ შერჩეულმა კადრებმა არ გაუმართლა?

– დიახ. ხომ ამბობდნენ, ბიძინამ გუნდი ვერ შექმნა და ეს მისი შეცდომებიაო. მე ვსვამ მარტივ კითხვას: რომელმა შექმნა გუნდი? ზვიად გამსახურდიამ თავისი მედოლითა და აფერისტი ომანიძით?

– გუნდის შექმნა რთული საკითხია და ყოველთვის რთული იყო.

– საქართველოში ეს შეუძლებელი საკითხია. რომ შეხედავ, კარგები არიან, 3-4 თვეში ვერ იცნობ.

– შევარდნაძეს და სააკაშვილს ხომ ჰყავდათ თავთავიანთი გუნდი?

– შევარდნაძის გუნდში იყო ჭეშმარიტად რამდენიმე წესიერი ადამიანი, სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ მთლიანობაში შევარდნაძის გუნდმა ხომ განაპირობა ის აღვირახსნილი, ყბადაღებული კორუფცია, რომელიც სუფევდა ბოლო წლების განმავლობაში.

სააკაშვილმა გუნდი შექმნა, მაგრამ ეს ხომ კრიმინალური გუნდი იყო და კრიმინალური გუნდია დღემდე. ჟვანიამ გუნდი შექმნა და მე მკითხეთ, რა გუნდი იყო, მალევე გადავიდნენ სააკაშვილის გუნდში. წარმოიდგინეთ, რა გუნდი იყო – ბარამიძე იყო ჟვანიას გუნდის სახე. ვერ ვიტყვი, რომ ივანიშვილმა მეტი შეცდომა დაუშვა მაშინ, როცა პოლიტიკაში არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა.

– ივანიშვილი წერს: ფსევდოპარტიის შექმნა თავისთავად არასწორი მოვლენაა, მაგრამ გიორგი გახარიასთან პოლიტიკური თანამშრომლობა ისედაც ყოვლად მიუღებელი იქნებოდაო. რატომ იქნებოდა მიუღებელი?

– გაშიფრულია. ვინაიდან ივანიშვილი გახარიას საქციელს ნამდვილ ღალატს უწოდებს როგორც პოლიტიკური გუნდის მიმართ, ასევე სახელმწიფოს მიმართ. სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოში გახარია ყველაზე დიდ თანამდებობას იკავებდა. ეს უმძიმესი ბრალდებაა. აქ არის ერთი მომენტი, რომელიც მე ნამდვილად არ ვიცოდი.

– რა მომენტი?

– ივანიშვილი (ახლა ეს 100%-იანი სიმართლეა, მაგრამ მე ვფრთხილობ) ამბობს: გახარია გუნდს სთხოვდა, გადაევადებინათ მელიას დაპატიმრება 2-3 დღით. ეს ჩემთვის ყველაფერს ცვლის. ცხადია, ეს ივანიშვილმა თავისი გუნდის წევრებისაგან გაიგო, რასაც გახარია ეუბნებოდა. თუ გუნდის წევრებმა ბიძინას სიმართლე უთხრეს, თუ გახარია მართლაც 2-3 დღეს ითხოვდა, მაშინ მრავალი კითხვა იბადება.

მე არ ვარ შეთქმულების თეორიის მომხრე და მიმაჩნია, რომ იმ ვერსიით, რომელიც გაახმოვანა მამუკა არეშიძემ (გაახმოვანა იმიტომ, რომ უთხრეს) – სააკაშვილის შემოსვლა აქტიურად იგეგმებოდა (იგივე ვერსია შემდეგ უკვე ბობოხიძემაც გააჟღერა) – რამხელა ავანტიურაში ეხვეოდა გახარია, რომლის ბიოგრაფია სულ სხვაა. პატარა ასაკის არ არის. თან წლების განმავლობაში უმაღლეს თანამდებობებს იკავებდა.

რთული დასაჯერებელია, მაგრამ კითხვა რჩება: რას ნიშნავს 2-3 დღე? აბსოლუტურად გავუგებდი გიორგი გახარიას, რომ განემარტა: კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას, გამოვაცხადოთ, მელია ნამდვილად დასაპატიმრებელია, როგორც ამას ითხოვს კანონი, მაგრამ ვინაიდან ამ საქმემ ასეთი რეზონანსი მიიღო ამ ეტაპზე, ვინაიდან ჩვენი დასავლელი პარტნიორები კარგად ვერ გარკვეულან იმაში, რაც დღემდე ხდება, ჩვენ ამ ღონისძიებას განვახორციელებთ მაშინ, როცა სახელმწიფოს არავითარი ზიანი არ მიადგება.

კანონის უზენაესობა უსათუოდ იქნება დაცული, მაგრამ დღეს და ხვალ შეიძლება ეს არ გავაკეთოთ. რა თქმა უნდა, ზუსტი თარიღის გამოცხადება არ შეიძლებოდა. გახარია 18 თებერვალს გადადგა. 23 თებერვალს დააპატიმრეს მელია. 3 კი არა, 5 დღე გავიდა. რას ნიშნავს 2-3 დღე გუნდისთვის თუ გახარიასთვის (სწორია, ბიძინა რომ ამბობს, განმარტება არ მოგვისმენიაო)? მით უმეტეს, როცა ამის საშუალებას კანონმდებლობა გაძლევს. პოლიციას აქვს თავისუფლების ის ხარისხი, რომ კი, ორდერი გაცემულია და უნდა დააპატიმროს, მაგრამ ეძებს ხელსაყრელ მომენტს და დროს. თუ მკვლელია და იარაღით დარბის, სხვა საქმეა. მელიას შემთხვევა ასეთი არ იყო.

სწორად აღნიშნა გრიგოლიამ, პულსი არ ესინჯებოდა ოპოზიციას, ვიდრე მელია არ დააპატიმრეს. ასეთი გადაცდომებითა და იდიოტიზმებით „ოცნებამ“ იმას მიაღწია, რომ მერე ხელი მოაწერა შარლ მიშელის დოკუმენტს და მეორე დღეს ევროპელებმა თავზე დაახიეს.

– გახარიას მელიას დაპატიმრებაზე დამოკიდებულება რატომ შეიძლებოდა შეეცვალა? ძალიან დიდი ზეწოლა ხომ არ განხორციელდა გახარიაზე უცხო ქვეყნიდან?

– ზეწოლა არა, მაგრამ დაახლოებით ზეწოლის ტოლფასი რამ არის.

– რუსეთიდან ზეწოლა ხომ არ განხორციელდა?

– რუსეთის ზეწოლას, პრაქტიკულად, გამოვრიცხავ. როდესაც ადამიანი შინაგანად წინააღმდეგია, გასაგებია, მაგრამ როგორც ამბობენ, გახარია იმუნიტეტის მოხსნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. შემდეგ აზრის შეცვლის ერთადერთი ახსნა ისაა, რომ (ზეწოლა საჭირო არ არის) ხედავდა, რა განწყობა იყო დასავლელ პოლიტიკოსებში (ჩამოდიოდნენ, იგივე შარლ მიშელი, დანიელსონი და სხვები).

– ანუ ევროპა და ამერიკა ახდენდა ზეგავლენას?

– არა. მერე გახარიამ შეაფასა. ევროპელები ხელების გადაგრეხასა და პირდაპირ ზეწოლაზე არ გადადიან.

– ბიძინა ამბობს, გათვლა იყო, რომ გახარიას გადადგომით მძიმე პოლიტიკური კრიზისი დადგებოდა. ძალიან საინტერესოა, ვის მიერ იყო გათვლა?

– არ ვიცი. მე მაინცდამაინც რეალისტურად არ მესახება ის სცენარი, რაც პირველად გავიგეთ. მამუკა არეშიძემ ხაზი გაუსვა, რომ მას უთხრეს. გასაგებია, რომ არეშიძეს ამას შემთხვევითი გამვლელები კი არ ეტყოდნენ.

– შეგნებულად იქნებოდა მიწოდებული, რომ არეშიძეს გაეხმოვანებინა.

– რა თქმა უნდა. გუნდში ეს იცოდნენ, მაგრამ რატომღაც არ ახმოვანებდნენ. შემდეგ კობახიძემ ყველაფერი თქვა. ეს იმდენად ავანტიურისტულად ჟღერს, რომ მე ამას მთლიანად დავიჯერებდი, ლაპარაკი რომ იყოს სააკაშვილსა და მის მორჩილ თანამზრახველებზე. სააკაშვილი არის ავანტიურისტი (კოლომოისკიმ და რუსეთის ქურდებმა უკრაინაში შეიყვანეს და ბევრი სხვა ავანტიურისტული ქმედებები ჩაიდინა), მაგრამ გახარიას გახვევა ასეთ აშკარა ავანტიურაში, ძნელად წარმოიდგენია.

მეორე მხრივ, თუ ეს ბრალდება (ცხადია, ივანიშვილმა ეს გუნდისგან გაიგო), რომ სულ 2-3 დღეს ითხოვდა, ეჭვს იწვევს. რას ჰქვია, 2-3 დღეს ითხოვდა? რისთვის 2-3 დღე?!

– ანუ თვითონ გახარიას მოქმედებას როგორ აფასებთ?

– წარმოიდგინეთ სიტუაცია, ოთახში სხედან გუნდის წევრები (კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე და სხვები), პრემიერი გახარია ამბობს, ხალხო, მე ვიყავი ინიციატორი და იმუნიტეტი მოვუხსენით, ყველაფერი კარგად არის, მაგრამ ახლა მე, პრემიერ-მინისტრი გეუბნებით, 2-3 დღე ნუ დავაპატიმრებთ და მეოთხე დღეს დავაპატიმროთ. ამას ადამიანი რომ გეტყვის (მსგავს სიტუაციაში მეც ვყოფილვარ, ეს რომ არ თქვას, ოთახში ვითარება აფეთქდება), ეტყვი, კი, გიორგი, გასაგებია, მაგრამ 3 დღე რატომ?!

გახარიას რომ ეთქვა, კანონს აღვასრულებთ, ეს ადამიანი უსათუოდ იქნება დაკავებული, მაგრამ ვხედავთ, რა სიტუაციაა, ამას შეიძლება საქართველოსთვის უარყოფითი შედეგები მოჰყვეს, ამიტომ დაკავებას დროში გადავწევთ და სიტუაცია უფრო ხელსაყრელი იქნება (ოღონდ 3 დღე არ უნდა თქვა), ახლა ხელი რომ ვახლოთ, შარლ მიშელი თუ ელჩები, ყველანი ფეხზე წამოდგებიან. ინტენსიურად ვიმუშაოთ ხალხში თუ უცხოეთში, მივაღწიოთ სრულ კონსენსუსს ჩვენს დასავლელ მეგობრებთან და კი, ბატონო, დავაპატიმროთო. ამდენი კითხვა არ იქნებოდა.

– გახარიამ განაცხადა, პარტია ჩემს უფლებამოსილებებში შემოიჭრაო. ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. შეიძლება განაწყენება იყოს?

– კი, გუნდში შევეჯახე კედელსო. პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება, ნებისმიერი მინისტრი გაათავისუფლოს.

„გახარია და ვასაძე ივანიშვილის პროექტია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნაციონალური მოძრაობა კიდევ უფრო ჩაჩოჩდება და აღარ იქნება მთავარი ოპოზიციური პარტია. ეს ორი ახალი ძალა შეიძლება „ოცნებასთან“ ერთად ხელისუფლებაში მოვიდეს, ან იყვნენ ოპოზიციაში. ამ წერილმაც აჩვენა, რომ რეალურად ბიძინა ივანიშვილი მართავს პროცესებს.

– რისთვის უნდა დასჭირვებოდა ბიძინა ივანიშვილს წერილის გამოქვეყნება და თავის მართლება?

– სიტუაცია აირია – ზოგი ამბობდა, გახარია ივანიშვილის პროექტიაო, ზოგი გახარიას სააკაშვილთან გარიგებაში ადანაშაულებდა. ამიტომ გააკეთა განმარტება. ივანიშვილსა და სააკაშვილს შორისაც არსებობს უცნაური კავშირი – სააკაშვილი არის მაშველი რგოლი „ქართული ოცნებისათვის“. საკმარისია, მმართველი პარტიის რეიტინგმა დაიწიოს, მაშინვე ჩნდება სააკაშვილი და ჩამოსვლას აანონსებს. სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული ხალხი ფრთხება, გარბის და ხმას აძლევს „ქართულ ოცნებას“. ე. წ. ოპოზიციური ერთობა დაშლილია. ამ ოპოზიციაშიც ზოგი ნებით აკეთებს ივანიშვილის საქმეს, ზოგი– უნებლიეთ. ასე რომ, „ოცნებასთან“ ერთად ბოლო დროს გამარჯვებულია ბიძინა ივანიშვილი.

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ ელით და ფიქრობთ, რომ ადგილობრივ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ არ გაუჭირდება 43%-იანი ბარიერის გადალახვა პროპორციულ ნაწილში?

– არა მგონია, მომავალ წელს ვადამდელი არჩევნები გაიმართოს. „ოცნება“ წელს შეძლებს 43%-ის გადალახვას. პარლამენტში რომ ოპოზიცია შევიდა, იმასაც აღარ უნდა ეს არჩევნები.

– ფიქრობთ, რომ ეს დაპირებაც გადათქვა ამ ხალხმა?

– რასაკვირველია. ოპოზიციის 99% პარლამენტში შევიდა. ისინი ინაწილებენ კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების თანამდებობებს, იღებენ 10.000-იან ხელფასებს, სარგებლობენ პერსონალური მანქანებით. ჩემ დროს დეპუტატის ხელფასი 2.200 ლარი იყო. ამათ ინფლაციის შესაბამისად გაიზარდეს. არადა, ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უფრო გაღარიბდა. ამ ოპოზიციას აღარ უნდა ვადამდელი არჩევნები და ის შესაბამისად მოიქცევა.

– დასავლელი პარტნიორების თვალში რა პოზიცია უკავია ივანიშვილს? მათთვის არაფორმალური გავლენა მიუღებელია.

– დასავლეთისთვის მთავარია, საქართველო არ იყოს რუსეთის ორბიტაზე და იაროს ევროკავშირისა და ნატოს გზით. არა მგონია, დასავლეთისთვის მთავარი იყოს ის, არაფორმალური გავლენაა საქართველოში თუ ფორმალური. „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ პროდასავლური პარტიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გაგვიფორმებდნენ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ნატოს გემები არ შემოვიდოდნენ შავ ზღვაში, ჩვენი მონაწილეობით არ გაიმართებოდა ნატოს წვრთნები და სხვა.

– არსებობს ინფორმაცია, რომ გახარიას პრემიერობის დროს საქართველოს მიმართ დიდი უნდობლობა გაჩნდა. დახმარებებიც წყდებოდა. ეს დახმარებები ახლა აღდგენილია.

– რთული საკითხია. თუ ასეა, მაშინ, როგორც ჩანს, პირადად გახარიასადმი დასავლეთში უნდობლობა არსებობს. ის აქ ჩამოსვლამდე რუსეთში საქმიანობდა. საბჭოთა კავშირში ცხოვრობდით და ჩემი სამეცნიერო საქმიანობა ასევე დაკავშირებული იყო რუსეთთან. მაშინ ერთი სახელმწიფო გვქონდა. გადადგომა, თავისთავად, საშინელება არ არის. ნიქსონი და დე გოლიც გადადგნენ. ეტყობა, გახარიას გადადგომის ფორმა და არსებული გარემოებები მიუღებელია დასავლეთისათვის.

სვანეთში მოკლული ზესტაფონელი რობიზონ თუთარაშვილი ახლობლებმა ძლივს ამოიცნეს

„მთავარმა“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხარეშში მომხდარი მკვლელობის ახალი დეტალები გაარკვია – სამარშრუტო ტაქსის მძღოლ მამაკაცს თანხას, სავარაუდოდ, სისტემატიურად სძალავდნენ. მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად სწორედ ფული სახელდება.

მიკროავტობუსის მძღოლი, რომელიც ლენტეხში ცემით მოკლეს, 47 წლის ზესტაფონელი რობიზონ თუთარაშვილია. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ კაცს ქვემო სვანეთში თანხას სისტემატიურად სთხოვდნენ. ბოლო შემთხვევის დროს მან ფულის მიცემაზე უარი თქვა, სწორედ ამას მოჰყვა დაპირისპირება.

რობიზონ თუთარაშვილი ისეა ნაცემი, რომ ახლობლებმა ძლივს ამოიცნეს.

– ნაცემი მიატოვეს და მერე იპოვა ვიღაცამ და დარეკა სასწრაფოში. ცხედარს სახე არ უვარგა, ძვლები არის შესული ტვინში, მარტო გული მუშაობდა, მეტი არაფერი, ოპერაციას ხელი არ მოკიდეს, შანსი არაა, რომ გადარჩესო. ასე ამბობენ, რომ ფულის შეწერაზე იყო, ყოველ რეისზე 100 დოლარი, 200 დოლარი, – ამბობს ნათესავი, გიორგი თუთარაშვილი.

ტრაგედია 5 ივნისს მოხდა.

სოფელ ჩიხარეშის მცხოვრებლები გარდაცვლილს დადებითად ახასიათებენ და ამბობენ, რომ მკვლელობის მოტივი მათთვის უცნობია. ადგილობრივები, თუთარაშვილის ოჯახის მსგავსად, 4 დაკავებულზე საუბრობენ, თუმცა არიან თუ არა ისინი თავდასხმაში მონაწილე პირები, თუ იმ ოჯახის წევრები, სადაც ბოლოს მამაკაცი სტუმრად იმყოფებოდა, არ იციან.

– თქვეს, რომ ვითომ ფულს სთხოვდნენ და გამოძალვა იყოო, რაც გვსმენია ჭორის დონეზე ეს ვიცით მარტო. მძღოლს ყველა ვიცნობდით ჩვენ. გვიწევდა თბილისში წასვლა-წამოსვლა და ძალიან კარგი პიროვნება იყო, ზრდილობიანი, პატიოსანი. იძახიან, 4 დაჭერილი არისო, 2-ს ეძებენო, – ამბობს ადგილობრივი.

ინფორმაცია დაკავებულების შესახებ შსს-ს ამ დრომდე არ დაუდასტურებია.

გამოძიება 117-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ნარკოტიკების ინტერნეტით გაყიდვისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და გავრცელების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას განაგრძობს. სამართალდამცველებმა თბილისში ნარკოტიკული საშუალებების ინტერნეტით გასაღების ფაქტები აღკვეთეს და დედაქალაქში სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს ინტერნეტის საშუალებით სისტემატურად ყიდდნენ.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 4 პირი დააკავეს: 1984 წელს დაბადებული ლ. ნ., 2002 წელს დაბადებული ნ. ქ., 1999 წელს დაბადებულ ა. ჭ., 2002 წელს დაბადებული მ. კ.

სამართალდამცველებმა, ლ.ნ.-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ასევე, ნ.კ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“ ამოიღეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია მათ მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“.

ლ.ნ.-ს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობაში ედება, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნ. ქ.-ს კი ბრალად ედება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა და რეალიზაციის მცდელობა, რაც 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, ა. ჭ.-ის და მ. კ.-ის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო მათ მიერ წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად და გასაღების მიზნით უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“-ის შემცველი 1, 670 მლ სითხე. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე დადგინდა, რომ დაკავებულები მოტოციკლეებით გადაადგილდებოდნენ და საკურიერო სერვისის ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ყუთების გამოყენებით სხვადასხვა ლოკაციაზე ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ“-ს შემდგომი რეალიზაციის მიზნით ათავსებდნენ. სამართალდამცველებმა აღნიშნული ლოკაციებიდან 15 შეკვრად დაფასოებული 16 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“ ამოიღეს.

ა. ჭ.-ს და მ. კ.-ს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და უკანონო გასაღების მცდელობაში ედებათ ბრალი, რაც 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და ჯგუფურად უკანონო გასაღების მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

ოზურგეთის ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს

ოზურგეთის ბენზინგასამართ სადგურზე ერთი პირი შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 135 ლარი გაიტაცა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი კ.ჭ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 8 ივნისს, ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურს ყაჩაღურად თავს დაესხა, გადაჭრილი სანადირო თოფის – ე.წ. აბრეზის მუქარით ოპერატორს 135 ლარი გასტაცა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კ.ჭ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულის სახით დააკავეს.

სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის გზით ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გურჯაანში მიკროავტობუსი ამობრუნდა

გუშინ, 8 ივნისს, გურჯაანის მუნიციპალიტეტში ავარიის შედეგად 1 ადამიანი მძიმედ დაშავდა. შემთხვევა სოფელ ჩუმლაყში მოხდა.

„ფორდ ტრანზიტის“ მარკის მიკროავტობუსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ცენტრალურ გზაზე ამობრუნდა, რის შედეგადაც მძღოლმა სხეულის მრავლობითი დაზიანება მიიღო.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსის“ კლინიკაში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით დაიწყო.

შსს-ში მზის ენერგიის ელექტროსადგური გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩმა, ანდრიუს კალინდრამ ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ავტოსადგომზე მზის ენერგიის ელექტროსადგური გახსნეს.

აღნიშნული სადგურის მზის პანელების მეშვეობით, მოქმედი ტარიფის გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ხარჯი წლის განმავლობაში 23%-ით დაიზოგება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. შესაბამისად, ყოველწლიურად ხდება შენობებში არსებული მოძველებული ტიპის სანათების ეტაპობრივად ჩანაცვლება თანამედროვე, ენერგოეფექტური სანათებით, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები ისე ხორციელდება, რომ სამშენებლო ობიექტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია და გაზი დათბუნებისა და თანამედროვე აგრეგატების ხარჯზე იყოს მინიმალური.

პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით, კლიმატის ცვლილების პროგრამის ფარგლებში, ლიეტუვურმა კომპანია JSC „Saulės graža“-მ განახორციელა. იგი მიზნად ისახავს უწყების მიერ მოხმარებული ენერგორესურსების მაქსიმალურად შემცირებას, ასევე, კლიმატის ცვლილების შესუბუქების მიმართულებით ლიეტუვის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას, საქართველოში მზის ენერგიის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის კოორდინაციით განხორციელდა.

პოლიციელი დიმიტრი დევდარიანის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა

ჯარისკაცების მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის საქმეზე დაკავებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლის, დიმიტრი დევდარიანის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა.

სასამართლოს მიერ აღნიშნულ შეთავაზებაზე ბრალდებულმა თანხმობა განაცხადა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, გიორგი ბიჩელაშვილს, მან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვაზე უარი განაცხადა. ბიჩელაშვილის ადვოკატის, უშანგი მგელაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დანაშაული არ ჩაუდენია და მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

ბიჩელაშვილის საქმე ცალკე წარმოებად წარიმართება და მოსამართლე განიხილავს.

გუშინ, 8 ივნისს, სასამართლო პროცესზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა. ამასთან, სასამართლომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები დასაშვებად ცნო.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი დააკავა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების და გადამზადების სამმართველოს ცვლის უფროსებმა გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, სხვა ჯარისკაცების თანდასწრებით, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ გამოიყენეს კანონით აკრძალული დასჯის მეთოდები, რომლითაც შელახეს მათი პირადი ღირსება, არსებითად დაარღვიეს მათი უფლებები, მიაყენეს მორალური და ფიზიკური ტკივილი და დააზიანეს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

ალექსანდრე დარახველიძემ სქესობრივი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით ტრენერთა ტრენინგი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის სქესობრივი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით ტრენერთა ტრენინგი დაიწყო.

სწავლების გახსნას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე – ვაჰაგ მურადიანი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალთა მიმართ ძალადობის პროგრამის ხელმძღვანელი – ირინა ჯაფარიძე დაესწრნენ.

სასწავლო პროგრამის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ცოდნის გაღრმავება და მათთვის ტრენერისთვის საჭირო უნარების გამომუშავება, რათა შემდგომში სქესობრივ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად მოხდეს გამომძიებელთა გადამზადება. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია 240-მდე გამომძიებლის გადამზადება, რომლებიც სქესობრივი დანაშაულების გამოძიებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით განახორციელებენ.

ტრენინგის მონაწილეები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სექსუალური ძალადობის დანაშაულები გენდერულ ჭრილში, სტამბოლის კონვენციისა და სხვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, სექსუალური ძალადობის შესახებ მითებისა და სტერეოტიპების ამოცნობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მსხვერპლზე ორიენტირებული და კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების წარმართვა. სწავლების მონაწილეები ასევე გაეცნობიან სქესობრივ დანაშაულებზე კასკადური ტრენინგების ჩატარების მეთოდოლოგიას.

ტრენინგი ეფუძნება სექსუალური ძალადობის გამოძიების, დევნისა და სასამართლო განხილვის შესახებ სახელმძღვანელოს, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ორგანიზაცია „Equality Now“-ის მხარდაჭერით შემუშავდა.

სწავლება ევროპის საბჭოს პროექტის – „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის – „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისათვს“ (UNJP) და ორგანიზაცია „Equality Now“-ის ხელშეწყობით ტარდება.

აღნიშნული პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2019 წლიდან ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს ხელისუფლების წარმომადგენელთა შესაძლებლობების ხელშეწყობას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, მსხვერპლთა დაცვას, მოძალადეთა დასჯას და გენდერული თანასწორობის გაძლიერებას.

ისრაელის პარლამენტი ახალ მთავრობას კენჭს კვირის ბოლოს უყრის

ისრაელის საკანონმდებლო ორგანო ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების მიზნით კენჭისყრას კვირას გამართავს.

თუკი ქნესეთი მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული და არაბთა პარტიებისგან შემდგარ კოალიციას ნდობას გამოუცხადებს, ახალი მთავრობის ფიცის დადების ცერემონია იმავე დღეს გაიმართება და ისრაელში ბენიამინ ნეთანიაჰუს 12-წლიანი მმართველობა დასრულდება.

23 მარტს ისრაელში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, რომელიც ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული მეოთხე საპარლამენტო არჩევნები იყო, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდმა“ ქვეყნის 120-ადგილიან პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად საკმარისი რაოდენობის მანდატების მიღება ვერ შეძლო. პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა მას კოალიციური მთავრობის ფორმირება დაავალა, თუმცა ნეთანიაჰუმ ეს ვერ შეძლო, რის შემდეგაც პრეზიდენტმა ეს დავალება იაირ ლაპიდს მისცა, რომლის პარტიაც არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ისრაელის 8 ოპოზიციურმა პარტიამ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაზე შეთანხმებას მიაღწია. ოპოზიციის მიერ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ისრაელის პრემიერ-მინისტრი მემარჯვენე პარტია „იამინას“ ლიდერი ნაფტალი ბენეტი გახდება, შემდეგ კი, 2 წელიწადში, პოსტს „მომავლის პარტიის“ (ეშ ატიდი) ლიდერს, იაირ ლაპიდს დაუთმობს.

მაკრონს მოქალაქემ სილა გააწნა

გუშინ, 8 ივნისს, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ერთ-ერთმა მოქალაქემ სილა გააწნა.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც პრეზიდენტი, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, დრომის რეგიონში რესტორნის მფლობელებსა და სტუდენტებთან შეხვედრას მართავდა და მათ კოვიდ-19-ისგან გამოწვეულ პრობლემებზე ესაუბრებოდა.

მაკრონმა ერთ-ერთ მოქალაქეს ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა, მამაკაცმა კი დაიყვირა: „ძირს მაკრონი“ და პრეზიდენტს სილა გააწნა.

მაკრონის დაცვის წევრებმა მამაკაცი მიწაზე დააწვინეს, პრეზიდენტი კი მისგან მოშორებით გაიყვანეს.

ინციდენტთან დაკავშირებით ორი პირია დაკავებული.

სომხეთში ხმის მიცემისა და დათვლის პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდება



სომხეთში 20 ივნისის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესების პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდება.

გადაწყვეტილება სომხეთის ცენტრალურმა კომისიამ დაამტკიცა.

– ეს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნაა. ხმის მიცემისა და დათვლის პროცესები პირდაპირ ეთერში 1.500 უბნიდან გადაიცემა. ეს გაკეთდება რეალურ დროში სპეციალურად შექმნილი ვებსაიტის საშუალებით, – განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ ტიგრან მუკუჩიანმა.

წინასაარჩევნო კამპანია ქვეყანაში ოფიციალურად 7 ივნისს დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ორმა მცირეწლოვანმა დამ მშობლების მანქანა გაიტაცა და სატვირთოს დაეჯახა

ამერიკის იუტის შტატის ქალაქ უესტ-ჯორდანში ორმა დამ, ოთხი და ცხრა წლისამ, გადაწყვიტეს, მშობლების მანქანა შევროლე მალიბუ გაეტაცებინათ, რათა ოკეანეში დელფინებთან ერთად ეცურათ.

ადგილობრივი დროით დაახლოებით ღამის სამ საათზე ქალაქ უესტ-ჯორდანში უჩვეულო ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, სედანი შევროლე მალიბუ დაეჯახა ვოლვოს მარკის სატვირთო მანქანას. ამ უკანასკნელის მძღოლის გამოძახებაზე მისულმა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ სედანის საჭესთან ცხრა წლის გოგონა იჯდა, ხოლო მის გვერდით მგზავრის სავარძელში – მისი ოთხი წლის და. საბედნიეროდ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. გოგონებს უსაფრთხოების ღვედები ეკეთათ, თუმცა მანქანებმა სერიოზული დაზიანება მიიღეს, განსაკუთრებით კი სედანმა, ვინაიდან სატვირთოსთან დაჯახებამდე დები კიდევ ერთ ავტომობილს გამოედევნნენ. როგორც გაირკვა, დებმა მშობლებისგან მალულად აიღეს მანქანის გასაღები, მათ დაძინებას დაელოდნენ, შემდეგ კი შევროლე დაქოქეს და გზას გაუდგნენ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გოგონებს, უბრალოდ, ღამის ქალაქში გასეირნება კი არ სურდათ, არამედ მათ მიზანს კალიფორნიის შტატში წყნარი ოკეანის სანაპირომდე მიღწევა წარმოადგენდა. ამასთან, მათ სრულიადაც არ აშფოთებდათ ის ფაქტი, რომ მათი ქალაქიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე დაახლოებით 1250 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. საბოლოოდ მათი ღამის გასეირნება სულ 16 კილომეტრამდე გაგრძელდა. მოგვიანებით გოგონების მშობლებმა პოლიციელებთან საუბარში აღიარეს, რომ ამ შემთხვევამდე მცირე ხნით ადრე ერთმანეთში მსჯელობდნენ კალიფორნიაში გამგზავრების თაობაზე.

შოტლანდიის სანაპიროსთან უიშვიათესი 15-მეტრიანი ვეშაპი შენიშნეს

შოტლანდიის სანაპიროსთან მიმდინარე წელს უკვე მეორედ უნიკალური ცხოველი შენიშნეს.

15-მეტრიანი ვეშაპი სეივალი კუნძულ ლიუისზე მდებარე შუქურას მსახურებმა შენიშნეს. ისინი ზღვის ძუძუმწოვარა არსებას თვალს დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ადევნებდნენ, ხოლო თავად ვეშაპი ადამიანებს 20 მეტრის მანძილიდან აკვირდებოდა.

შოტლანდიისთვის ეს უიშვიათესი მოვლენაა, ვინაიდან ეს გიგანტური არსებები უფრო ღრმა და ცივ წყალს ამჯობინებენ. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩრდილოეთ ბრიტანეთში ისინი მხოლოდ ათჯერ შენიშნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბასილაშვილმა შტუტგარტი მოგებით დაიწყო

ნიკოლოზ ბასილაშვილი გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მიმდინარე ტურნირში ჩაება, რომლის საპრიზო ფონდი 618.735 ევროა.

ბასილაშვილი ტურნირზე მე-5 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში „უაილდ ქარდის“ მქონე მასპინძელ დასტინ ბრაუნს შეხვდა.

ბრაუნი 36 წლისა და მიმდინარე რეიტინგში 303-ე ადგილზე იმყოფება, შედეგად ჩვენებურს გამარჯვება არ გასჭირვებია – 6:3; 7:6.

პირველ სეტში ბასილაშვილი 5:0 დაწინაურდა და გამარჯვების ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებია.

მეორე სეტში თანაბარი ბრძოლა იყო – ორივე ჩოგბურთელმა საკუთარი მოწოდებები აიღო და საქმე ტაი ბრეიკამდე მივიდა. იქ კი, ნიკოლოზმა 7:4 იმარჯვა და შემდეგ წრეში გავიდა.

ბასილაშვილი მერვედფინალში ხორვატ მარინ ჩილიჩსა და კიდევ ერთ გერმანელ რუდოლფ მოლეკერს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ბუნტი რეალში — ფეხბურთელებმა კონტეზე უარი თქვეს

მადრიდის რეალის მწვრთნელად კარლო ანჩელოტი დაინიშნა. თუმცა, მანამდე მადრიდული კლუბი მისი თანამემამულის, ანტონიო კონტეს კანდიდატურას აქტიურად განიხილავდა.

ფლორენტინო პერესი კონტესთან მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებდა, მაგრამ კინაღამ ფეხბურთელების აჯანყება გამოიწვია.

პერესს დაახლოებით 10 ფეხბურთელი დაკავშირებია და უთქვამს, თუ კონტეს მოიყვან, გუნდიდან წავალო. პრეზიდენტს რომ დაუნახავს, გუნდი ეშლება, იუვენტუსის, ჩელსის, ინტერისა და იტალიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელთან ურთიერთობა შეუწყვეტია და ანჩელოტიზე გადართულა.

მას მერე, რაც ინტერი სერია ა-ს ჩემპიონი გახადა და დატოვა, კონტე თავისუფალია და ესპანეთის დედაქალაქში მუშაობა ძალიანაც აინტერესებდა.

ვინ არის ის 10 ფეხბურთელი, რომელთაც კონტეს გვარის გაგონებაზე ბოიკოტი გამოაცხადეს, უცნობია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ ერთ-ერთი მათგანი კაპიტანი სერხიო რამოსი იქნებოდა. 2018 წელს, როდესაც რეალი ასევე მწვრთნელის ძიებაში იყო და კონტეს კანდიდატურას განიხილავდა, რამოსი კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა.

არადა, გუნდიდან წასვლას რამოსი ისედაც აპირებს და რეალმა გადაწყვიტა, მას გამოსათხოვარი საღამო მოუწყოს.

მოკრივეთა კიდევ ორი ოლიმპიური ლიცენზია

ქართველმა მოკრივეებმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის კიდევ ორი ლიცენზია მოიპოვეს. სახილ ალახვერდოვის შემდეგ, ეს ესკერხან მადიევმა და გიორგი ხარაბაძემ მოახერხეს.

69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოლიმპიური საგზურისთვის მადიევის მეტოქე უკრაინელი ევჰენი ბარაბანოვი იყო. ჩვენებური პირველ რაუნდში აქტიური იყო და უკრაინელი ნოკდაუნშიც გაგზავნა. მეორე რაუნდი უკვე ბარაბანოვმა მოიგო, მაგრამ გადამწყვეტი სამწუთიანი მონაკვეთი მადიევმა უკეთ ჩაატარა და მსაჯების გადაწყვეტილებით გამარჯვება მას დარჩა.

75 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ხარაბაძის მეტოქე შვედი ადამ ჩარტოი იყო. ბრძოლა აქაც ქართველი მოკრივის უპირატესობით წარიმართა. შედეგად, მსაჯებმა გამარჯვება და ოლიმპიადის ლიცენზია ქართველს მიაკუთვნეს.

3 მოკრივეს შემდეგ ქართველთა სალიცენზიო მონაგარი უკვე 14-მდე გაიზარდა. მოკრივეების გარდა დღეისათვის ტოკიო-2020-ის ლიცენზიის მფლობელები ოფიციალურად არიან ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), გიორგი მუჯარიძე (ბირთვის კვრა), ლაშა ღულელაური (სამხტომი), გიორგი მელია, რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, იაკობ ქაჯაია (ყველა ბერძნულ -რომაული ჭიდაობა), ავთანდილ კენჭაძე, ელიზბარ ოდიკაძე, გენო პეტრიაშვილი (ყველა თავისუფალი ჭიდაობა), სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა).

მიმდინარე რეიტინგის და სპორტული შედეგების მიხედვით, ახლო მომავალში ქართველ ოლიმპიურ ლიცენზიანტთა რიგებს შემოუერთდებიან ძალოსნობის, ძიუდოს, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის და კიდევ რამდენიმე სპორტის სახეობის წარმომადგენლები.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შეცდომით გასამართლებული პოლიციელი 10 წლის შემდეგ სამსახურში დაბრუნდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-კაპსკის პროვინციის ქალაქ პორტ-ელისაბედის მკვიდრი პოლიციელი, რომელიც ციხეში კოლეგაზე ზეწოლის ცრუ ბრალდებით იჯდა, სამსახურში განთავისუფლებიდან ათი წლის შემდეგ დაბრუნდა.

2010 წელს პოლიციელ მეშაკა ფოფოს ქალ კოლეგაზე ზეწოლაში დასდეს ბრალი. 2011 წლის დასაწყისში სასამართლომ მას ხუთი წლით პატიმრობა და სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის აკრძალვა მიუსაჯა. ის ფაქტი, რომ დისციპლინარულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ფოფო დამნაშავე არ ყოფილა, მხედველობაში არ იქნა მიღებული.

მამაკაცმა აპელაცია შეიტანა და ის მის სასარგებლოდ იქნა განხილული. 2014 წლის ნოემბერში პროვინციის უზენაესმა სასამართლომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გააუქმა, მაგრამ როდესაც ფოფო სამსახურში დაბრუნებას შეეცადა, მას განუცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ აპელაციის შეტანის 30-დღიან ვადას გადააცილა. ამ დროს კი მამაკაცი და მისი ადვოკატი ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, მათ დადგენილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ აცნობეს.

2019 წელს ქალაქ პორტ-ელისაბედის სამსახურებრივი საკითხების მოგვარების სასამართლომ პოლიციის ყოფილი კომისრის რია ფიიეგის გადაწყვეტილება, რომ ფოფოსთვის სამსახურში დაბრუნებაზე უარი ეთქვა, უსაფუძვლოდ და არარაციონალურად ჩათვალა.

მაისის ბოლოს სააპელაციო სასამართლომ პოლიციის წარმომადგენლების მცდელობა, შეეცვალათ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, არ დააკმაყოფილა და ნაწილობრივ მხარი დაუჭირა ფოფოს შემხვედრ აპელაციას. სააპელაციო სასამართლომ მამაკაცის სამსახურში დაბრუნების გადაწყვეტილებას დაამატა მისთვის წოდების, ხელფასის, დახმარების და პრივილეგიების შენარჩუნება.

დრონებმა ჩიტები შეაშინეს და მათ ბუდეები მიატოვეს

თოლიასებრთა ოჯახის წარმომადგენელი ათასობით ტერნი დრონებმა შეაშინეს, მათ საკუთარი ბუდეები მიატოვეს და საერთო ჯამში სამი ათასამდე მათი კვერცხი უპატრონოდ დარჩა სამხრეთ კალიფორნიაში ერთ-ერთ კუნძულზე.

აღნიშნული ინციდენტი მაისში მოხდა, როდესაც ორმა უპილოტო საფრენმა აპარატმა უკანონოდ გადაუფრინა ჰანტინგტონ-ბიჩში მდებარე ბოლზა-ჩიკას ეკოლოგიური ნაკრძალის ტერიტორიას. ერთ-ერთი აპარატი მწყობრიდან გამოვიდა და მიწაზე ჩამოვარდა. ფრინველებმა ეს „მტაცებლის“ თავდასხმად მიიღეს, ბუდეები მიატოვეს და აღარ დაბრუნებულან.

ნაკრძალის წარმომადგენლის მელისა ლებლის თქმით, ფრინველების მიერ საკუთარი ბუდეების და კვერცხების მიტოვების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შემთხვევაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნული ლიგა სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლდება

სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. მე-16 ტური 2 დღეს არის გაწერილი და დღეს დაიწყება.

9 ივნისი

დინამო თბ-შუქუჩა

18:45. თბილისი. დინამო არენა

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი შინ ქობულეთის შუქურას ახალი მწვრთნელით დაუხვდება. როგორც უკვე იცით, თბილისის დინამოს კახა ცხადაძე გაწვრთნის.

დინამო წყვილის ფავორიტია. შუქურამ ჩემპიონატი რიხიანად კი დაიწყო, მაგრამ ზედიზედ 3 მატჩი წააგო და ახლა გასავარდნ ზონაში იმყოფება. შედეგად, გიორგი შაშიაშვილის გუნდმა უნდა იბრძოლოს, მაგრამ რამდენად გამოუვა, ეს მატჩისას გამოჩნდება.

საბუჩთაღო-დიღა

19:45. თბილისი. მიხეილ მესხი

ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი. ორივე გუნდი მედლებისთვისა და ევროსაგზურისთვის იბრძვის და უშუალო კონკურენტები არიან. ცხრილშიც ძალიან მჭიდრო „ურთიერთობა“ აქვთ და ერთმანეთში მოპოვებულ ქულებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მასპინძელი საბურთალო კი არის, მაგრამ რომელი გუნდია ფავორიტი, ამის თქმა გაჭირდება. ძირითადად მწვრთნელების დუელს უნდა ველოდოთ.

ტორპედო-სამგურალი

20:45. ძუთაისი. რამაზ შენგელია

იმერულ დერბის ორივე გუნდი სხვადასხვა განწყობით ხვდება. ქუთაისელებს 3 ტურია არ წაუგიათ, ხოლო სამტრედიამ ზედიზედ 3 წააგო. არადა, მანამდე სატურნირო ცხრილში წინ გიაცეცაძის გუნდი იყო. ახლა ტორპედო სოლიდური სხვაობით გაექცა კონკურენტს და შეეცდება ეს უპირატესობა მინიმუმ შეინარჩუნოს.

სამტრედიას კი, თუ ელიტაში დარჩენა სურს, სწორედ კონკურენტებთან ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს.

10 ივნისი

სამგურალი-ლოკომოტივი

17:30. წყალტუბო. 26 მაისი

ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს წყალტუბოში, სადაც მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა სამგურალი თბილისის ლოკომოტივს დაუხვდება.

სამგურალი ელიტაში 19 წლის შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ თავს შინაურულად გრძნობს. მეტიც, სოსო ფრუიძის გუნდს ამბიცია გაუჩნდა და ევროსაგზურებისთვისაც კი იბრძვის.

თავის მხრივ, ლოკომოტივიც მედლებისთვის იბრძვის და ევროტურნირებზე მოხვედრას ცდილობს. შედეგად, იმერეთში ქულების მოსაპოვებლად მიდიან...

დინამო ბთ-თელავი

20:00. ბათუმი. ბათუმი არენა

ბათუმში ერთმანეთთან ცხრილის თავსა და ბოლოში მყოფი გუნდები ითამაშებენ. ფავორიტი, ცხადია, გია გეგუჩაძის გუნდია და დიდი ალბათობით მოიგებს. თუმცა, თელაველებსაც დასაკარგი არაფერი აქვთ და მათთვის ყველა ქულა ოქროს ფასი ღირს.

სატუჩნიო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	15	9	4	2	28-10	31
2.დინამო (თბ)	15	10	1	4	24-12	31
3.დილა	15	7	4	4	18-12	25
4.ლოკომოტივი	15	7	3	5	25-23	24
5.საბურთალო	15	6	6	3	19-18	24
6.სამგურალი	15	6	4	5	16-17	22
7.ტორპედო	15	3	7	5	14-14	16
8.შუქურა	15	3	5	7	13-23	14
9.სამტრედია	15	2	3	10	15-27	9
10.თელავი	15	1	5	9	10-26	8

გიორგი ყრუაშვილი: „ელიტარულ დონეზე მსაჯობა მინდა“



2021 წლის 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატის ფინალს, რომელშიც ერთმანეთს გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრებები შეხვდნენ, ქართველი მსაჯები მოემსახურნენ.

უეფას ვებ-გვერდმა კი, მატჩის მთავარი არბიტრის გიორგი ყრუაშვილის შესახებ სტატია გამოაქვეყნა.

გიორგი ყრუაშვილმა უკვე მეორედ იმსაჯა ევროპული ფინალი. 2011 წელს, სერბულ ნოვი სადში, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაში ის ასისტენტის როლში იყო, ამჯერად კი, დიდი მატჩის მთავარ არბიტრად დაინიშნა. ეს ყველაფერი 35 წლის ქართველი მსაჯის მრავალმხრივ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

გიორგი ყრუაშვილი:

– ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად ვაცნობიერებ ასისტენტის როლს მსაჯთა ბრიგადაში. 2013 წელს ამპლუა შევიცვალე და მთავარი არბიტრი გავხდი, რამეთუ ახალი გამოწვევა მსურდა. საქართველოს ქვედა ლიგებში მანამდეც ვატარებდი მთავარი მსაჯის როლში თამაშებს. ამ დროს აღმოვაჩინე, რომ მოედნის ცენტრში უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე გვერდით ხაზზე. როგორც ჩანს, გულით მინდოდა მსაჯობა. მართალია, სამსაჯო როლების შეცვლა ჩემთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, მაგრამ ბოლო წლებში გაწეული შრომა და წინსვლა ამ ფინალზე დანიშვნით დამიფასდა, რაც ძალიან მიხარია.

გიორგი ყრუაშვილმა 2015 წელს მოიპოვა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის სტატუსი. ლიუბლიანას „სტოჟიცეს“ სტადიონზე გამართული ფინალი მის კარიერაში საკვანძო მომენტია.

– რთულია სიტყვებით გამოვხატო ჩემი გრძნობები. მანამდე ესპანეთსა და ხორვატიას შორის მეოთხედფინალური შეხვედრა ვიმსაჯე და აეროპორტში მისული უკვე ვემზადებოდი საქართველოში დასაბრუნებლად, როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ ფინალზე დავინიშნე. ამ მომენტში ემოციებით ვიყავი სავსე, მაგრამ ჩემ ირგვლივ ბევრი ხალხი იყო და მაქსიმალურად თავი შევიკავე. ეს ნამდვილად დიდი სიურპრიზი იყო ჩემთვის. მეამაყება, რომ შესაძლებლობა მომეცა, ასეთი მნიშვნელობის მატჩში წარმოვადგინე ჩემი ქვეყანა.

საქართველომ კი, ოთხმაგად იამაყა მსაჯებით: ფინალში ყრუაშვილს მისი თანამემამულეები – ასისტენტები ლევან ვარამიშვილი და ზაზა ფიფია, ასევე მეოთხე მსაჯი ირაკლი კვირიკაშვილი დაეხმარნენ.

ყრუაშვილის თქმით, კარგი მსაჯისთვის არ არის საკმარისი ფეხბურთის წესების ცოდნა – ის უნდა გრძნობდეს მოთამაშეებისა და მწვრთნელების ემოციებს.

– მატჩის დროს ჩვენ ერთი გუნდი ვართ და კოლექტიურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას. უნდა შეგეძლოს იმის გაცნობიერება, თუ რას გრძნობენ ისინი კონკრეტულ მომენტებში. მოედანზე მსაჯიც ერთგვარი მენეჯერია, რომელიც თავისი ქმედებებით მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სხვადასხვა სიტუაციაზე. შენ მენტალურადაც უნდა იყო ძლიერი, რათა გაუმკლავდე სხვადასხვა ტიპის ადამიანებს.

21-წლამდელთა ფინალმა ბევრი პოზიტიური ემოცია წარმოქმნა, არა მხოლოდ ყრუაშვილისთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც.

– ეს განსაკუთრებული მომენტი იყო. მადლობას ვუხდი დამკვირვებლებს, ინსტრუქტორებს, კოლეგებს – ყველას, ვინც მე აქამდე მომიყვანა. მათმა რჩევებმა და გამხნევებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში. ამ მატჩის შემდეგ ჩემი მიზანი იქნება ელიტურ დონეზე მსაჯობა, რისთვისაც კიდევ უფრო მეტს ვიშრომებ.

შედეგები

7 ივნისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სერბეთი-იამაიკა	1:1
უკრაინა-კვიპროსი	4:0
გერმანია-ლატვია	7:1
ანდორა-გიბრალტარი	0:0
ფარერები-ლიხტენშტეინი	5:1

მრ-2022. შესარჩევი ეტაპი

აზია

ყირგიზეთი-მონღოლეთი	0:1
იაპონია-ტაჯიკეთი	4:1
ბანგლადეში-ინდოეთი	0:2
გუამი-სირია	0:3
ერაყი-კამბოჯა	4:1
ნეპალი-იორდანია	0:3
ირანი-ბახრეინი	3:0
ვიეტნამი-ინდონეზია	4:0
ემირატები-ტაილანდი	3:1
ჩინეთი-ფილიპინები	2:0
ომანი-ყატარი	0:1
უზბეკეთი-სინგაპური	5:0
ავსტრალია-ტაიპეი	5:1

ჩოგბურთი

ხოლან გაროსი

ჯაცები

შვარცმანი-შტრუმფი	7:6,6:4,7:5
ჯოკოვიჩი-მუსეტი	6:7,6:7,6:1,6:0,4:0
ნადალი-სინერი	7:5,6:3,6:0

ქალები

სტივენსი-კრეიჩიკოვა	2:6,0:6
ჟაბერი-გაუფი	3:6,1:6
კენინი-საკარი	1:6,3:6
კოსტიუკი-შვიატეკი	3:6,4:6

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შერმადინი აგებს, შენგელია იგებს

გიორგი შერმადინის ტენერიფესთვის ესპანეთის ჩემპიონატში ბარსელონა და რეალი უხერხული მეტოქეები არიან. კუნძულელებმა მიმდინარე სეზონში ამ 2 გრანდის გარდა, ყველა გუნდი დაამარცხა. ტრადიცია გაგრძელდა ფლეი ოფის ნახევარფინალურ სერიაშიც, რომელშიც მოედნის უპირატესობა ბარსელონას აქვს და კატალონიელებმა სერია იოლი გამარჯვებით გახსნეს – 112:69.

ქართველმა ცენტრმა მხოლოდ 18 წუთი ითამაშა და ამის მიზეზი ისაა, რომ მატჩის ბედი მესამე პერიოდშივე გადაწყდა და მწვრთნელს გუნდის ქართველი ლიდერი ბოლო ათწუთეულში აღარ დაუტვირთავს. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, მესამე ათწუთეულში კი, ბარსელონას კალათბურთელებმა პერიმეტრიდან მაღალი სიზუსტით ისროლეს და მეოთხედი 40:18 მოიგეს. მათ საბოლოოდ 32-დან 17 სამქულიანის რეალიზება მოახერხეს.

18 წუთში შერმადინმა 8 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. ქართველი ცენტრის სარგებლიანობის ინდექსმა 9 ერთეული შეადგინა, ხოლო ამ მხრივ მატჩის საუკეთესო ბარსელონას ლიდერი ნიკოლა მიროტიჩი გახლდათ – 23.

ნახევარფინალური სერია 2 მოგებამდეა. შემდეგი მატჩი ტენერიფეში გაიმართება. გათანაბრების შემთხვევაში, გადამწყვეტ შეხვედრას ისევ ბარსელონა უმასპინძლებს.

თორნიკე შენგელია კი, ვითიბი ლიგის ჩემპიონის ტიტულს მიუახლოვდა. ფინალური სერიის მეორე მატჩი, რომელიც პირველის მსგავსად ყაზანში გაიმართა, ცსკა-მ 76:57 აჯობა უნიკსს და საერთო ანგარიშით – 2:0 დაწინაურდა.

ქართველი ფორვარდი მოპოვებული ქულების მხრივ ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო – 25 წუთში 18 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მიითვალა. მარგი ქმედების კოეფიციენტით (15) თორნიკეს თანაგუნდელმა ჯონათან ვოიტმანმა აჯობა (20).

სერია 3 მოგებამდეა. შემდეგ შეხვედრას ცსკა შინ გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ხელოვნების ქურუმის ტიტულის მქონე ქართველი მსახიობი მამაკაცი; 3. აეროპორტი მილანში; 4. ტროპიკული ხილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი, დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 17. ქალაქი იმერეთში; 19. ძლიერფეთქებადი ნივთიერება; 21. ვაშლის ღვინო; 22. პურეული მცენარე.

თარაზულად: 6. ჩვილი ბავშვის საფენი; 7. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 8. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 9. ციური სხეულების მოძრაობის გზა; 10. სამეჯლისო ცეკვა; 13. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ამერიკელ ზანგთა სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 23. სისხლის წნევის აწევა; 24. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მუდო; 2. რიალი; 3. იმაგო; 4. წრომი; 5. წულაძე; 6. რენეგატი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ხერესი; 15. ქაშაყი; 16. კანიო.

თარაზულად: 1. მოდრიჩი; 4. წიწამური; 7. დუნაი; 9. კორნი; 12. ლეჟავა; 13. ბზიფი; 14. ხახული; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. ჩარდაში; 20. შოპენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პრიმატოსი; 2. ფოსფორი; 3. პიექსი; 4. ჰავრი; 5. ანკერი; 11. ბასტრი; 12. ფროიდი; 14. ნომი; 16. კანბერა; 17. კარტეჩი; 19. ლაკოსტა; 21. ბუერი; 22. მზისა.

თარაზულად: 6. ბრეტიორი; 7. დუაიენი; 8. როდეო; 9. ნაბუკო; 10. სოტბი; 13. ქსანი; 15. სკეიტბორდი; 18. ფინდელი; 20. აული; 21. ბოლერო; 23. კათალიკოსი; 24. ჩედერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1569

ევრო — 3.8372

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4642

100 რუსული რუბლი — 4.3325

ამინდის პროგნოზი 9 ივნისისათვის



კოუტინიო შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო სავარაუდოდ გუნდში დარჩება, როგორც ამას მისი აგენტი ამბობს.

კოუტინიო, რომელსაც ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა, მალე გამოჯანმრთელდება.

რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ კოუტინიო შესაძლოა რომელიმე ინგლისურ გუნდში გადასულიყო, მაგრამ ეს ხმები სიმართლეს არ შეესაბამება.

კოუტინიოს ბარსელონასთან კონტრაქტი 2023 წელს უმთავრდება.

ვეინალდუმის ხელფასი პსჟ-ში 8 მილიონი ევრო იქნება

პსჟ-ს ჰოლანდიელი ახალწვეულის ჟორჟინიო ვეინალდუმის ხელფასი წელიწადში 8 მილიონი ევრო იქნება და, შესაძლოა, მან ბონუსის სახით დამატებითი მილიონიც მიიღოს. ვეინალდუმმა სწორედ მაღალი ხელფასის გამო არჩია პსჟ-ში გადასვლა, რადგან თავდაპირველად ის ბარსელონას წევრი უნდა გამხდარიყო, მაგრამ კატალონიელებმა ვერ შეძლეს მსგავსი პირობების შეთავაზება.

ლუკა დინი: „ვალვერდეს ფეხბურთელებთან კომუნიკაცია უჭირდა“



ბარსელონას ყოფილმა ფეხბურთელმა ლუკა დინმა ერნესტო ვალვერდესთან მუშაობა გაიხსენა და თქვა რომ ვალვერდეს ფეხბურთელებთან კომუნიკაცია უჭირდა და ეს გუნდისთვის კარგი არ იყო.

დინის თქმით, ვალვერდეს არც მესისთან გამოსდიოდა ურთიერთობა:

– როდესაც მწვრთნელს კომუნიკაცია უჭირს, გუნდზე ეს ყოველთვის ცუდად აისახება. ვალვერდეს მსგავსი პრობლემა ჰქონდა, ლუის ენრიკეს კი ეს გაცილებით უკეთ გამოსდიოდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უინსტონ ჩერჩილის ნახატი აუქციონზე გაიყიდება

ნიუ-იორკში აუქციონზე გაიტანეს ნახატი, რომელიც ცნობილ მილიონერ არისტოტელე ონასისს გასული საუკუნის 50-იან წლებში დიდი ბრიტანეთის აწ გარდაცვლილმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა აჩუქა.

პეიზაჟი ჩერჩილმა ასი წლის წინ, 1921 წელს დახატა, შემდეგ ის 40 წლის განმავლობაში პოლიტიკოსის კოლექციაში ინახებოდა.

– მას არ უყვარდა სურათების გაყიდვა და გაჩუქება, – აღნიშნა ფილიპსის აუქციონის სახლის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ და XX საუკუნისა და თანამედროვე ხელოვნების განყოფილების თანახელმძღვანელმა ჟან-პოლ ენგელენმა. ნახატის მიღების შემდეგ ონასისმა ის საკუთარ სუპერიახტა კრისტინაზე მოათავსა.

ნახატი აუქციონზე 23 ივნისს გაიყიდება. წინასწარი შეფასებით, მისი ფასი მილიონ ნახევრიდან ორ მილიონ დოლარამდე იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ივნისისათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ფანჯარასთან რატომ დგახარ?

– ვფიქრობ, გადავხტე თუ მივხურო...

– გადახტი და მე მივხურავ.

●●●

ქალს ეკითხებიან:

– კაბის რომელი ნაწილი მოსწონთ ყველაზე მეტად მამაკაცებს?

– დეკოლტე!

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– რა ნიშნავს დაქორწინება?

– იმას, რომ ქალს ერთხელ გაიწვევ საცეკვაოდ და მერე ის მთელი ცხოვრება გაცეკვებს!

●●●

ბარმენი დახლთან მჯდომ კლიენტს მიმართავს:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ და კიდევ ხომ არ ისურვებდით?

– რა ჯანდაბად მინდა ორი ცარიელი ჭიქა?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი ძილში განუწყვეტლივ ლაპარაკობს, მოკლედ, საშინელებაა! და შენი ლაპარაკობს?

– არა, მხოლოდ იღიმება... ნაძირალა!

კინობიბლიოთეკა რეზო გაბრიაძის სახელობის იქნება



ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის გიორგი კეკელიძის ინფორმაციით, კინობიბლიოთეკას რეჟისორისა და მწერლის რეზო გაბრიაძის სახელი მიენიჭება:

– ეროვნული ბიბლიოთეკის კინობიბლიოთეკას დღეიდან რეზო გაბრიაძის სახელი ერქმევა.

„ნიჭიერი“ ბრუნდება

ყველაზე სახალხო შოუ „ნიჭიერი“ სულ მალე ტელეეთერს დაუბრუნდება.

პროექტის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, შოუს ათასობით გულშემატკივარი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში იხილავს.

თუ ვინ იქნება „ნიჭიერის“ წამყვანი“ ან ჟიური, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

თბილისის ჯაზფესტივალზე მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოვლენ



თბილისის რიგით 24-ე საერთაშორისო ჯაზფესტივალი წელს ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ჩატარდება.

6-8 ივლისს დაგეგმილ ჯაზფესტივალზე მსმენელის წინაშე მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები წარდგებიან.

ისთერნპრომოუშენი 6 ივლისს ჯაზფესტივალს გახსნის 5 გრემის ჯილდოს მფლობელი ხელოვანების ანტონიო სანჩესის, დონი მაკკასლინის, მიგელ ზენონის, სკოტ კოლის კონცერტით.

7 ივლისს მსმენელის წინაშე წარდგება ჯაზის გიგანტი ბრენფორდ მარსალისი.

8 ივლისს ჯაზფესტივალს დახურავს იამაიკელი ჯაზის ლეგენდა მონტი ალექსანდერ, ტრიოსთან ერთად.

წლევანდელ ჯაზფესტივალს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი უმასპინძლებს.

კონცერტების დაწყებამდე, ჯაზფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ, სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის კოლექცია – არქეოლოგიური საგანძური დაათვალიერონ.

რეჟისორი ზურაბ ინაშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა

რეჟისორი და სცენარისტი ზურაბ ინაშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა.

სამწუხარო ინფორმაცია საქართველოს კინოაკადემიამ გავრცელა:

– ქართული კინოდოკუმენტალისტიკის განსაკუთრებული კეთილშობილებით და ნიჭით გამორჩეული, საკუთარ ქვეყანასა და მის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, სიკეთით სავსე და უწესიერესი ადამიანი, ბატონი ზურაბ ინაშვილი გარდაიცვალა. დაგვიტოვა დიდი ტკივილი, სევდა და სიყვარულით შექმნილი, ძალიან საინტერესო ფილმები. ვისაც უყვარს დოკუმენტური კინო, კარგად იცის ბატონი ზურას შემოქმედება: „ქართველები მარიას თეატრში“, „გამოთხოვება დონ-კიხოტთან“, „გერმანელები საქართველოში“, „მაესტრო“, „ნოდარ დუმბაძე“, „ნუ მოიწყენთ შემოდგომისას“, „იწყება ზღაპარი“, „როსტროპოვიჩი“, დოკუმენტური ფილმების ციკლი – „მგზავრები წუთისოფლისა“ (30 სერია), „არ დაიდარდო დედაო“, „ხვალ, ზეგ, მაზეგ“, „გურჯი ვარ საქართველოდან“, „სხვა ქალაქი“, „ხმა ამოიღეთ“, „პური და სანახაობა“, „მიუსაფარი“. ზურა ინაშვილის შემოქმედებას ეკუთვნის არაჩვეულებრივი მხატვრული ფილმი „მაისის თოვლი“.

წინ კიდევ უამრავი გეგმა ჰქონდა, დოკუმენტური ფილმის „რუსთაველის ქვეყანა“-ს გადასაღებად ემზადებოდა.

ზურაბ ინაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ისწავლა. სხვადასხვა წლებში იყო ტელეფილმების სტუდიის კინორეჟისორი, სტუდია „ქართული ტელეფილმის“ გენერალური დირექტორი.

გია ჯაჯანიძე: „ვისწავლე საკუთარი თავის სიყვარული“

ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე ყველას საკუთარი თავის შეყვარებას ურჩევს:

– ვერ წარმოიდგენთ, როგორ მტკენდნენ ადამიანები გულს.

განვთავისუფლდი.

ვისწავლე საკუთარი თავის სიყვარული, საკუთარი გულის სიყვარული და მივხვდი, აუცილებელია გაუფრთხილდე სულს, რათა სულმა დამძიმება იცის და უმოქმედო ხდები.

როცა რამეს გაძლევენ, თავისუფალი ხარ არჩევანში, შეგიძლია არ მიიღო, ან არ აიღო, ასეა მაშინაც, როცა გულს გტკენენ, ისე უნდა გიყვარდეს და უფრთხილდებოდე გულს, არ უნდა მიიკარო ნეგატივი, არც უნდა უპასუხო და არც თავი იმართლო.

თუ ადამიანი ჯანსაღ საკვებს მიიღებს, კუჭი გადაამუშავებს და ორგანიზმი ძლიერდება, უვარგისი საკვებით ადამიანი იწამლება.

ასეა ტვინიც, თუ სასარგებლო და დადებით ინფორმაციას მიაწვდით ტვინს, ჯანმრთელი აზროვნება გექნება. როცა ჯანსაღად აზროვნებ, ხარ კარგად, შეცდომებს არ უშვებ და გიმართლებს.

ჩვენს აზროვნებას წამლავს ნეგატიური დამოკიდებულება, ნეგატიურ წარსულზე ფიქრი და როგორ გატკინეს გული. ადამიანების მიმართ შური, ბოღმა სამაგიეროს გადახდა, ეჭვები და შიში, ეს ის საკვებია ტვინისთვის, რომელიც ანადგურებს ადამიანის მომავალს როგორც პირადში, ასევე კარიერაში.

ერთხელ ერთმა ადამიანმა მითხრა, შენ იტყუები, ბედნიერი რომ ხარო. ტირილამდე შეშეცოდა, გავუტარე, მაინც ვერ ვუშველიდი.

მიყვარხართ. ჩემთვის ეს სიყვარული სასიამოვნო და სასარგებლოა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული; 2. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. საარაყე ტიკჭორა; 5. ჰორიზონტალური კუთხეების საზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 11. მუზეუმი ბერლინში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი.

თარაზულად: 1. უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომატი; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 9. იტალიური ავტომობილი; 12. აეროპორტი მილანში; 13. მდინარე ბერლინში; 14. მოკლე საცირკო-საესტრადო პიესა; 17. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს, იზოლატორი; 19. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 20. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა